№25(26) 28.06.199

სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

ოთხთა ტურნირი თბილისში
რატომაც არა?
მე-3 გვერდი

„ფალავანის“ პირველი ნაბიჯები
კომერცია და ქველმოქმედება
მე-4 გვერდი

ამერიკა მასპინძლობს ჩემპიონატს
ნუთუ არ დაიჩაგრება ნიუ-იორკი?
მე-4 გვერდი

ამსტერდამი. „აიაქსი“
ჰოლანდიური ჩანაწერები
მე-5 გვერდი

მილიონერთა რბოლა
რისკი ძვირად ფასობს
მე-6 გვერდი

ეირჩიეს უფროსი მწვრთნელები

გუშინწინ გაიმართა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის სხდომა. საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელად აირჩიეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თემურ ხუბულური, ქალთა ნაკრებს კი სათავეში ჩაუდგა ნუგზარ გოგოლაური.

ვაჟთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე კენჭს იყრიდა ოთხი კანდიდატი: თემურ ხუბულური, ბიძინა მაზიაშვილი, შოთა ხაბარელი და კობა კურტანიძე. ხუბულურმა ორი ხმით აჯობა ხაბარელს, კურტანიძემ კი მოხსნა თავისი კანდიდატურა.

საქართველოს სამბისტთა ევროპული ტრიუმფი

ათი ფალავანი — ათი მედალი — გუნდური გამარჯვება

თბილისის „იბერია“ კვლავ ჩემპიონია

ლიდერის პოზიციები შეურყეველი დარჩა

გია ახალაძის ფოტო

თბილისის „იბერიაზ“: სხედან (მარცხნიდან) მამუკა მაჭავარიანი, გელა ინანიშვილი, რევაზ არველაძე, ზაზა რევიშვილი, მალხაზ არზიანი, შოთა არველაძე, კახი გოგიჩაიშვილი; დგანან (მარცხნიდან) ნიკა ჩხეიძე, გიორგი ნემსაძე, მიხეილ ყაველაშვილი, კახი კაჭარავა, მურთაზ შელია, გოჩა ჩიქოვანი, გია ჭიშკარიანი, თემურ ჩლაიძე.

ნავიდნენ, ნახეს, გაიმარჯვეს!



მევლუდ მელაძე

მურთაზ თურქია

გია ნაცვლიშვილი

ჯემალ მჭედლიშვილი

მალხაზ ბერუაშვილი

ამ შეჯიბრების შედეგებს ყველანი ინტერესითა და იმედით ველოდით. საქართველოს სამბისტთა ნაკრები, როგორც დამოუკიდებელი გუნდი, პირველად გავიდა დიდ საერთაშორისო სარბიელზე. ევროპის ალტერნატიული ჩემპიონატიც, რომელსაც იტალიის ქალაქმა ტურინმა უმასპინძლა, პირველად გაიმართა. საქართველოს ნაკრების მონაწილეობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და ფინანსური საკითხების მოგვარება იოლი არ ყოფილა, მაგრამ საერთო ძალისხმევით ყველაფერი კარგად დაშთავრდა. ჩვენი ფალავნები დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ ამ პრესტიჟული ასპარეზობისათვის და სპოლიო შედეგიც შთამბეჭდავი გამოდგა: მოპოვებულია 5 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი. 10 ფალავანი — 10 მედალი! ცხადია, საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაშიც უძლიერესი იყო. არადა, ჩემპიონატში ევროპის 10 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ჩემპიონები გახდნენ: თბილისელი მევლუდ მელაძე (52 კგ.), ფოთელი მურთაზ თურქია (62 კგ.), დუშელი გია ნაცვლიშვილი (68 კგ.), ქარელელები — ჯემალ მჭედლიშვილი (90 კგ) და მალხაზ ბერუაშვილი (115 კგ.). ვერცხლის ჯილდო მიიღო საგარეჯოელმა გოჩა მეკოკიშვილმა (57 კგ.), შესამე ადგილებზე გავიდნენ საგარეჯოელი ნიკო გაგნაშვილი (74 კგ), თბილისელი გურამ ქარჩიძე (82 კგ), საგარეჯოელი კობა კუპატაძე (100 კგ) და ქარელელი გელა ბერუაშვილი (115 კგ).

ტურინში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — შეიქმნა სამბოს ევროპის საერთაშორისო ფედერაცია, რომელშიც სხვებთან ერთად გაწევრიანდნენ საქართველო, ღიტვა და რუსეთი. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ეკვთიმიშვილი.

ახალკაცი მიდის თუ რჩება?

ეს ცნობა, უეჭველია, დიდ ინტერესს გამოიწვევს ფეხბურთის მოყვარულთა შორის: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გადაწყვიტა დატოვოს ეს პოსტი და შესაბამისი განცხადებაც დაწერა. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა რეაქცია მოჰყვა ამას თვითონ ფეხბურთის ფედერაციაში თუ უფრო მაღალ ინსტანციებში, ფაქტი კი, დაგვეთანხმებით, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორი პოზიცია დავიჭიროთ

თითქოს გადაწყდა: საქართველოს სპორტსმენები ამიერიდან აღარ იასპარეზებენ საკავშირო ჩემპიონატებში, არ გამოვლენ საბჭოთა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. ამის თაობაზე საგანგებო განცხადებაც გამოქვეყნდა, თუმცა საქმეს სხვა პირი უჩანს — ჩვენს ძიუდოისტებს თურმე საბჭოთა გუნდთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა განუზრახავთ. ფალავნებმა ასე გადაწყვიტეს, მაგრამ რა პოზიციას დაიჭერენ საქართველოს ძიუდოს ფედერაცია და სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო?

რა სჯობს — მყარი პოზიცია დავიჭიროთ, თუ გადავთქვათ მიღებული გადაწყვეტილება?

ნაკრები კიშინიოვს მიემგზავრება

მომავალ სამშაბათს, 2 ივლისს, კიშინიოვში გაიმართება საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში მოლდოვასა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა გიგა ნორაკიძემ, რამაზ შენგელიამ და თამაზ კოსტავამ გუნდში მიიწვიეს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის 7 კლუბის 16 ფეხბურთელი: „იბერიიდან“ — ნიკა ჩხეიძე, გია ჯიშკარიანი, მურთაზ შელია, ზაზა რევიშვილი, თემურ ქეცბაია, მიხეილ ყაველაშვილი, „გურიიდან“ — გოჩა გუჯაბიძე, გოჩა ტყებუჩავა, დავით ცომაია, „ქუთაისიდან“ — გიორგი დარასელია, „გორდადან“ — დიმიტრი კუდინოვი, გია კილასონია, „ოდიშიდან“ — დავით ყიზილაშვილი, მელორ ბიგვავა, „ცხუმიდან“ — მიხეილ ჯიშკარიანი, „კოლხეთი-1913“-დან — მამუკა გვასალია.

ნაკრებში გამოიძახეს აგრეთვე უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები სოსო ჭედია და კახი ცხადაძე.

ცოტაც და მატჩი დაიწყება. დავით ყიფიანი უკანასკნელ დარიგებას აძლევს „იბერიის“ ფეხბურთელებს.

საჩემპიონო ფრე

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩმა ზესტაფონში ადგილობრივ „მარგვეთსა“ და თბილისის „იბერიას“ შორის გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. პირთამდე სავსე ტრიბუნები თავიდანვე დაძაბული, მწვავე ბრძოლის მოწმე გახდა. სახიფათო მომენტები ზედიზედ იქმნებოდა ხან ერთ, ხან მეორე კართან. შუა ტაიმში მასპინძლებმა ხელიდან გაუშვეს გოლის გატანის ჩინებული შანსი. რამდენიმე წუთის შემდეგ კი „მარგვეთის“ კართან შექმნილ არეულობაში ყველას დაასწრო „იბერიის“ ცენტრფორვარდმა კაჭარავამ და ანგარიშიც გაიხსნა. ტაიმის მიწურულს თბილისელთა საჯარიმოსთან უბურთოდ ბრძოლისას წაიქცა „მარგვეთის“ მოთამაშე. „იბერიამ“ მოიგერია შეტევა და სწრაფად გადაიტანა ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარზე, კაჭარავამ კი სწრაფი რეიდი ზუსტი დარტყმით დაასრულა. აქ ნერვებმა უმტყუნა მაყურებელთა ერთ ჯგუფს და მასპინძელთა მეხუთე ნომერს ლაცაბიძეს, რომელმაც ხელი გაარტყა ზუგდიდელ მსაჯს სერგო კვარაცხელიას, რისთვისაც უმალ დაატოვებინეს მოედანი. სტადიონის თანამშრომელთა და „მარგვეთის“ ფეხბურთელების მცდელობით წესრიგი აღსდგა და მატჩიც გაგრძელდა.

მეორე ტურში ნემსაძემ კიდევ უფრო დააწინაურა თბილისელები — 3:0. მაგრამ ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და შესძლეს მატჩის ფრედ დამთავრება — 3:3 (ჯუღელი, კერძევაძე, ხუჯაძე).

ამ შეხვედრაში მოპოვებული ერთი ქულა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თბილისის „იბერიას“ მეორედ მოეპოვებინა საქართველოს ჩემპიონის წოდება. თბილისელებმა ზესტაფონში ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჩხეიძე, არზიანი, მაჭავარიანი, შელია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, (რ.არველაძე), ქეცბაია (ნემსაძე), ჩიქოვანი, კაჭარავა, ყაველაშვილი, ინალიშვილი.

მატჩის დამთავრების შემდეგ „იბერიის“ მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— იმის მიუხედავად, რომ „იბერია“ თითქმის თავიდანვე ლიდერობდა, შარშანდელისაგან განსხვავებით, აშკარად მხოლოდ ბოლო ტურში გაინაღდეთ პირველი ადგილი. რა იყო ამის მიზეზი?

— ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ ერთწრიან მოკლე ტურნირში ზოგმა გუნდმა მალე გაარკვია თავისი საშუალო პოზიცია გათამაშებაში, ბევრის პრეტენზია არც ჰქონია და ჩვენს ძირითად მეტოქეებსაც შედარებით გაუადვილდათ მათთან გამარჯვება.

— ალბათ, გურულის, ჭედიასა და ცხადაძის უცხოეთის გუნდებში გადასვლამაც იმოქმედა?

— ცხადია, მნიშვნელოვანი ძალა გამოგვაკლდა, მაგრამ „ემიგრანტთა“ ადგილები კარგად მომზადებულმა, პერსპექტიულმა ახალგაზრდებმა დაიკავეს. შეიძლება ითქვას, რომ ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თამაშში სწრაფ პროგრესს. საერთოდ, წელს, მთელმა გუნდმა უფრო სტაბილური თამაში აჩვენა.

— ჩემპიონატზე რას იტყვით?

— თამაშის დონემ შესამჩნევად იმატა. ამ მხრივ, შარშანდელთან შედარებით, აშკარად იგრძნობა წინ-სვლა. მაგრამ, საშწუხაროდ, ხარვეზიც ბევრი იყო. ამაში აგულისხმობ მსაჯთა პრობლემასაც, წესრიგის დაცვასაც და სტადიონებზე მაყურებელთა მიზიდვის საკითხსაც. ამ მხრივ, მთელს რესპუბლიკაში ერთ-ერთი სასიამოვნო გამონაკლისია „მარგვეთის“ სტადიონი. წელს ჩვენმა ბიჭებმა ამდენი მაყურებლის თვალწინ პირველად ითამაშეს.

ბია ახალაძე,
„სარბიელის“ სპეც. კორესპონდენტი.
ავტორის ფოტო.

გათამაშების ცხრილი

		თ.	მ.	ფ.	წ.		ქ.
1.	იბერია (თბილისი)	19	14	5	0	45-7	47
2.	გურია (ლანჩხუთი)	19	14	4	1	38-15	46
3.	ჭუთაისი (ჭუთაისი)	18	11	2	5	33-27	35
4.	კოლხეთი-13 (ფოთი)	19	10	3	6	30-19	33
5.	ბათუმი (ბათუმი)	19	10	2	7	28-21	32
6.	ცხუმი (სოხუმი)	18	8	4	6	31-25	28
7.	ოდიში (ზუგდიდი)	18	8	3	7	33-24	27
8.	მარგვეთი (ზესტაფონი)	19	8	3	8	32-32	27
9.	გორდა (რუსთავი)	19	7	5	7	34-22	26
10.	ალაზანი (გურჯაანი)	19	8	1	10	28-36	25
11.	დილა (გორი)	19	7	3	9	29-32	24
12.	სამგურალი (წყალტუბო)	19	7	3	9	21-34	24
13.	მერცხალი (ოზურგეთი)	19	7	1	11	22-31	22
14.	შევარდენი-06 (თბილისი)	19	6	4	9	30-26	22
15.	მზიური (ცალი)	19	6	4	9	25-28	22
16.	სულორი (ვანი)	19	6	3	10	29-41	21
17.	კოლხეთი (ხობი)	18	5	4	9	24-30	19
18.	ამირანი (ოჩამჩირე)	19	4	6	9	27-37	18
19.	სანავარდო (სამტრედია)	19	4	6	9	19-42	18
20.	ივერია (ხაშური)	19	4	2	13	12-39	14

მე-10 ტურის შეხვედრა „ჭუთაისსა“ და „ცხუმს“ და მე-18 ტურის შეხვედრა „ოდიშსა“ და „კოლხეთს“ შორის დანიშნულ დღეებში, ფეხბურთელთა და მაყურებელთა უდისციპლინობის გამო შეწყდა.

ეროვნული ჩემპიონატი

XVIII ტური

ალაზანი — მარგვეთი 3:1
იბერია — სულორი 4:2
გურია — ამირანი 6:3
გორდა — შევარდენი-06 1:3
ჭუთაისი — ივერია 1:0
კოლხეთი-13 — სამგურალი 4:0
ბათუმი — მზიური 2:1
ცხუმი — სანავარდო 0:0
მერცხალი — დილა 2:1

XIX ტური

დილა — ალაზანი 5:2
კოლხეთი — მერცხალი 2:1
სანავარდო — ოდიში 3:3
მზიური — ცხუმი 5:0
სამგურალი — ბათუმი 3:2
ივერია — კოლხეთი-13 1:2
შევარდენი-06 — ჭუთაისი 1:2
ამირანი — გორდა 2:2
სულორი — გურია 0:3
მარგვეთი — იბერია 3:3

ოთხეული და დანარჩენები

ივნისში რაგბის ეროვნულ ლიგაში უძლიერესთა ოთხეული გამოვლინდა. „აია“, „ვესტა“ და „გელათი“ ჩემპტონატის დაწყებამდე დაწინაურდნენ, მეოთხე ადგილისთვის კი გადამწყვეტი „შევარდენი“ — „მიმინოს“ და „იმერეთი“ — „შევარდენის“ თამაშები აღმოჩნდა.

პირველ შეხვედრაში თითქოს „მიმინოს“ გამარჯვება უფრო იყო საფიქრებელი, რომელიც ცუდი სტარტის შემდეგ გვარიანად ათამაშდა, ხოლო ესპანური ტურნეთი გადაღლილმა „შევარდენმა“ ლიდერებთან სამი მარცხის შემდეგ გაჰირვებით სძლია „აკადემია“, მაგრამ...

აზრიანი და აგრესიული თამაშით „შევარდენმა“ უკვე მეორე ტაიმის დასაწყისში თითქმის გაანადგურა მეტოქე (19:3), თუმცა შემდეგ ძლივსღა შეინარჩუნა გამარჯვება — 19:13. ერთი კვირის შემდეგ კი „შევარდენმა“ ჭიათურაში გადაუწურა მეოთხე ადგილზე გასვლის შანსი „იმერეთს“ — 28:9 და ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი ოთხეულში. ამასობაში „ყოჩებმა“, რომლებიც ადრე გამოეთიშნენ ოთხეულში მოხვედრისთვის ბრძოლას, „მიმინოსაც“ — გადაუსწრეს და „იმერეთსაც“.

ბია ახალაძის ფოტო

შეტევაზეა ჭუთაისის „აიას“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ნუგზარ ძაგნიძე

„რაში“ და „აკადემია“ ეროვნულ ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლას მეორე ეტაპზე გააგრძელებენ. ამ „ფრონტზეც“ საინტერესო ამბები დატრიალდა: ჯერ იყო და „აკადემია“ მოთამაშეთა ტრავმების გამო ჭუთაისს ვერ გაემგზავრა, რისთვისაც ერთი ქულით დაჯარიმდა და ეროვნულ ლიგაში დარჩენაც სათუოდ გაიხადა: კონკურენტს ოთხი ქულით ჩამორჩა, მაგრამ „რაშმა“ ის ერთი ქულა „დიდსულოვნად“ დააბრუნა უკან — სტუმრად ჩამოსულ „აიას“ შინ არ დაუხვდა. თითქოსდა სამართლიანობა აღდგა — ბოლო ადგილის ბედი მოედანზე გადაწყდება, მაგრამ ჭუთაისელთა სამართლიან აღშფოთებას რაღა ვუყოთ: „აიას“ წელს უკვე მესმე მეტოქე დანებდა უბრძოლველად („შევარდენმა“ იმდენი პრაქტიკულობა გამოიჩინა, რომ ჭუთაისში ნაკლული გუნდით ჩავიდა და ერთი ქულაც გადაარჩინა).

ამერ-იმერის ლიგებშიც გაირკვა ორ-ორი გამარჯვებულის ვინაობა. 30 ივნისს ეროვნულ ლიგაში გადასასვლელად ითამაშებენ: „ჯანი“ — „მარიხი“ და „რუსთავი“ — „სათაფლია“.

წინა კვირას ეროვნულ ლიგაში მეორე ეტაპი დაიწყო, რომელიც ორ წრედ გაიმართება და სადაც ყველა გუნდს პირველ ეტაპზე დაგროვებული ქულები გადაყვება. ოთხეულში უფრო მაღალ ადგილებზე გასული გუნდები ნახევარფინალებსა და ფინალებს შინ ჩაატარებენ.

პირველ ტურში „ვესტამ“ დაამარცხა „შევარდენი“ — 54:7, „აიამ“ მოუგო „გელათს“ — 43:11.

მეორე ტურის ერთი შეხვედრა გუშინ შედგა — „შევარდენმა“ „აიას“ უმასპინძლა. დღეს, 18 საათზე „ვესტა“ ვაკის სტადიონზე „გელათს“ ეთამაშება, შაბათ-კვირას კი V-IX ადგილებისათვის მებრძოლი გუნდები მეორე ეტაპის პირველ ტურს გამართავენ.

მამუკა ჩიხლაძე

ეროვნული ლიგა (პირველი ეტაპის საბოლოო ცხრილი)

1.	"აია"	8	0	0	32
2.	„ვესტა“	7	0	1*	28
3.	„გელათი“	5	1	2	24
4.	„შევარდენი“	5	0	3	23
5.	„ყოჩები“	3	2	3	19
6.	„მიმინო“	3	1	4	18
7.	„იმერეთი“	2	0	6	14
8.	„რაში“	1	0	7*	10
9.	„აკადემია“	0	0	8*	7

ოთხეული. მდგომარეობა II ეტაპის პირველი ტურის შემდეგ:
1. „აია“ — 36; 2. „ვესტა“ — 32; 3. „გელათი“ — 24; 4. „შევარდენი“ — 23.

დავიხმაროთ ბურთი!

ფეხბურთი დიდი ხანია სპორტის ჩარჩოებს გასცდა და სოციალურ ფენომენად იქცა.

სხვა დროს ამ არაერთხელ წაკითხული თუ გაგონილი ტრაფარეტული ფრაზის ხმარებას მოვერიდებოდით ან მისი გამოყენებისათვის ბოდიშს მაინც მოვიხდიდით, მაგრამ ამჯერად ეს აქსიომა შეგნებულად მოვიყვანეთ, რადგან თავისებურ ლოზუნგად (ან იქნებ დევიზად, მოწოდებად) გვინდა ვაქციოთ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ფრაზის ტრაფარეტულობის მთავარ მიზეზად ჩვენ მასშივე ჩადებული აზრის შეუვალ ჭეშმარიტებას ვთვლით.

დიახ, ფეხბურთი დიდი ხანია სპორტის ჩარჩოებს გასცდა და მართლაც განსაკუთრებულ სოციალურ ფენომენად იქცა. იგი ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა. გარდა იმისა, რომ ფეხბურთი, თანამედროვეობის ეს ყველაზე მასობრივი და პოპულარული სანახაობა, მილიონებისთვის ერთგვარ სულიერ საზრდოდ იქცა და ამით ნებისმიერი საზოგადოებრიობის კულტურულ ყოფაზე ახდენს გავლენას, მან ეკონომიკასა და პოლიტიკაშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. თანამედროვე საფეხბურთო ინდუსტრია რომ უდიდესი ბიზნესია, ყველას კარგად მოეხსენება. არც ის არის საიდუმლო, რომ ამ თამაშს ცივილიზებულ ქვეყნებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებზეც არაერთხელ მოუხდენია გავლენა. ასე განსაჯეთ, ერთხელ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდეც კი მივიდა...

ყოველივე ეს ფაქტია!

ფაქტია ისიც, რომ საქართველო, უდავოდ საფეხბურთო ქვეყანა, ახლა მეტად არასასურველ იზოლაციაში მოჰყვა. ვიდრე საბოლოო მიზანს მივაღწევთ და ფიფა-ში გავერთიანდებით, ნელნელა დგება სპორტული სამყაროსგან ჩვენი „მივიწყების" საფრთხე. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქვეყნიერებისთვის „თავის შეხსენების" ყველა შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო ტურნირის მოწყობა ფეხბურთში, მილიონთა უსაყვარლეს სახეობაში, ვფიქრობთ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

დიახ, ფიფა-მ თავის წევრებს, თითქმის მთელ მსოფლიოს, აუკრძალა ჩვენთან კონტაქტი, მაგრამ არ დაუშლია და ვერც დაგვიშლის საქართველოში სტუმრის მიღებას ან ფეხბურთის თამაშს. ასე რომ, რამდენიმე უცხოური გუნდის ჩამოყვანით შესაძლებლობა მოგვეცემა ჩავატაროთ ოფიციალური საერთაშორისო საქველმოქმედო ტურნირი და ეს ამბავი მთელ მსოფლიოსაც გავაგებინოთ, ეს ჩვენი ჩინებული რეკლამაც იქნება და სტიქიური უბედურებებით დაზარალებულთა დახმარების ფონდიც შეივსება.

საერთაშორისო ტურნირზე რომ ვლაპარაკობთ, ტრადიციულ, ე.წ. „ოთხთა ტურნირს" ვგულისხმობთ. ასეთი შეჯიბრება სულ ორ-სამ დღეს გრძელდება. უცხოეთში მსგავსი ტურნირები მყარ კომერციულ საფუძველზეა დამყარებული და ამიტომ არც მონაწილეთა მიზიდვა უჭირთ. ჩვენ დღესდღეობით, ბუნებრივია, მატერიალურად ვერავის დავაინტერესებთ ფონს ალბათ ისევ პირადი ონტაქტებისა და კეთილმოსურნე სტუმართა საკადრისი მასპინძლობით უნდა გავიდეთ (ამ მასპინძლობაში პირველ ყოვლისა დასვენებისა და ვარჯიშისათვის კარგი პირობების შექმნა იგულისხმება). და კიდევ: ტურნირი აუცილებლად საქველმოქმედო უნდა იყოს და მოგების უდიდესი ნაწილი სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ფონდში ჩაირიცხოს. იმის გათვალისწინებით, რომ „პურსა და ყველზე" სტუმრობას, ისიც დღევანდელ პირობებში, მხოლოდ კეთილი მეგობრები დაგვთანხმდებიან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი კეთილშობილური მიზანი მათთვის დამატებით არგუმენტად, ერთგვარ ფსიქოლოგიურ ფაქტორად იქცევა.

რა თქმა უნდა, პირველხარისხოვანი სუპერკლუბების მოზიდვაზე ახლა ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ შემორჩენილ მეგობართაგან ყველაზე ავტორიტეტიანი და ძლიერი გუნდები შევარჩიოთ. სავარაუდოდ შეიძლება დავასახელოთ ისრაელი, ზაარლანდი, ბასკეთი, საბერძნეთი, თურქეთი, შვეცია (იქ ჰედია და ცხადაძე თამაშობენ), პოლონეთი (გია გურული გამოდის), სომხეთი. ვფიქრობთ, ცოტა არ არის. რაც შეეხება უშუალოდ მატჩების ადგილს, იმის მიხედვით უნდა შეირჩეს, სადაც მეტი მაყურებლის მოსვლა იქნება სავარაუდო. ეს შეიძლება იყოს თბილისი, ქუთაისი ან ბათუმი.

„სარბიელი" ობიექტური მიზეზების გამო ჯერჯერობით მზად არ არის რომ ამ მასშტაბის ღონისძიების ჩატარება თავად იკისროს. დღევანდელ წერილს სწორედ იმ ვარაუდით ვაქვეყნებთ, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა დაინტერესდება ამ იდეით, მით უფრო, რომ პირად, არაოფიციალურ საუბრებში იგი არაერთმა კომპეტენტურმა პიროვნებამ მოიწონა.

ეს იდეა ჯერ კიდევ დასახვეწია. ვინმემ იქნებ ჩვენი ჩანაფიქრი გაამდიდროს კიდეც, მაგრამ მთავარია მისი ხორცშესხმა გადავწყვიტოთ და მიზნის მისაღწევად ძალები გავაერთიანოთ. მაშინ, გარწმუნებთ, ამ საქმეს წლეულსვე მოვაბამთ თავს, ეს კი მთელ ჩვენს სპორტს დიდ სამსახურს გაუწევს. გარდა ამისა, ვინ იცის იქნებ ღმერთმა ინებოს და შევძლოთ ბურთი სხვა საკითხების მოგვარებაშიც დავიხმაროთ...

ფეხბურთი დიდი ხანია სპორტის ჩარჩოებს გასცდა და სოციალურ ფენომენად იქცა!

„სარბიელის" რედაქცია

სპეციალისტის აზრი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე:

კარგი იდეაა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, როგორ მოენატრათ ჩვენს გულშემატკივრებს საერთაშორისო შეხვედრები. გარდა ამისა, ასეთი ტურნირი საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთხელ შეახსენებს საქართველოს. მეორეს მხრივ, ცნობილი არ არის, თუ როგორ მოეკიდება ფიფა ამ შეჯიბრებას. წესის თანახმად, ტურნირის ჩატარების შესახებ მას დროულად უნდა ვაცნობოთ ჩვენც და მონაწილე გუნდებმაც (თუკი გამოჩნდებიან), რათა ფიფა-მ თბილისში მოავლინოს მსაჯები და სხვა ოფიციალური წარმომადგენლები, თუმცა, ამბობენ, ცდა ბედის მონახევრეაო...

მეგობრული მატჩი

თბილისის სასტუმრო „მეტეხის" კოლექტივსა და მრავალდარგოვან ფირმა „გრაფიტს" კარგა ხანია საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს: თანამშრომლობით ორივე მხარე კმაყოფილია. გრაფიტელთა თაოსნობით ამ რამდენიმე დღის წინ ფირმისა და სასტუმროს წარმომადგენლებს ფეხბურთის ბოდანზე შეხვდნენ ერთმანეთს. ამხანაგური მატჩი „ქარიშხალას" დარბაზში მოეწყო „მეტეხის" შემადგენლობაში იყვნენ „გრაფიტის" უცხოელი თანამშრომლები, რომელთაც ხელმძღვანელობდა გენერალური დირექტორი ჩარლი ვილითსი.

თავიდანვე ნათელი გახდა, რომ მასპინძლები უფრო ტექნიკურად თამაშობდნენ, მათი მეტოქეები კი ძირითადად სწრაფი კონტრიერიშებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას. ანგარიში მე-10 წუთზე ძლიერი შორი დარტყმით გახსნა „მეტეხის" შეფმზარეულმა ერიკ ბაუერმა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენი გუნდის „უხუცესმა" წევრმა, 32 წლის მშენებელმა ინეინერმა ზურაბ ბედიაშვილმა ჭუსლით დაარტყა და ლამაზი საპასუხო გოლი გაიტანა. აქედან მოყოლებული „გრაფიტს" უპირატესობა აღარ დაუთმია და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 6:5. გოლები გაიტანეს შოთა კაჭკაჭიშვილმა (2), გია ჯანგავაძემ (2) და წარსულში ცნობილი ფეხბურთელის ლევან ნოდიას ვაჟმა გიორგიმ.

ორივე მხარის სურვილით, ასეთი შეხვედრები ტრადიციული გახდება.

გია ახალაძე,

ავტორის ფოტოები.

(გაგრძელება)

მხატვრული ტანვარჯიში

ეს მოხდა 1963 წელს ბუდაპეშტში, მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ერთ-ერთ დიდ საერთაშორისო ტურნირზე. უფრო ზუსტად, ტურნირი, რომელსაც ჩვეულებრივი საერთაშორისო შეჯიბრების სტატუსი ჰქონდა, დამთავრდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, ორგანიზატორთა დაჟინებული მოთხოვნითა და საერთაშორისო ფედერაციის კურთხევა-მხარდაჭერით, იგი ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად გამოცხადდა და შედეგებმაც შესაბამისი კვალიფიკაცია მიიღო. ასე ჩაიწერა მხატვრული ტანვარჯიშის არც ისე ხანგრძლივ ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონის ლიუდმილა სავინკოვას გვარი.



ირინა ჟემჩუჟინა

მეორე ასეთ შემთხვევას თანამედროვე სპორტში ვერც გაიხსენებთ. სწორედ ამიტომ და კიდევ იმის გამო, რომ სპორტი ასე თუ ისე მაინც ექვემდებარება გარკვეულ ორგანიზაციულ კანონებს, მხატვრული ტანვარჯიშის მაშინდელ მესვეურთ გულუბრყვილობა და არასერიოზულობა დასწამეს. ეს ბრალდება არ იყო საფუძველს მოკლებული, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის ლიდერთა არგუმენტებსაც ჰქონდა ლოგიკა. და მართლაც, კაცმა რომ თქვას, რა ისეთი

ირინა გაბაშვილი

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შეჯიბრების სახელს, როცა მასში ყველა ცნობილი სპორტსმენი გამოდის? ასეთ ასპარეზობას საერთაშორისო ტურნირიც თამამად შეიძლება ეწოდოს (ევროპის პირველობაც და, გნებავთ, მსოფლიო ჩემპიონატიც)... მთავარია, შინაარსით უპასუხებდეს ზემოთ ჩამოთვლილ „იარლიყებს". მხატვრული ტანვარჯიში ევროპის პირმშო გახლავთ. სპორტის ამ სახეობას ავრცელებდა და ავითარებდა სწორედ ევროპა. ამიტომ მისი განუკითხავი მბრძანებელი ევროპაა. სწორედ ამან მისცა ბუდაპეშტის ტურნირის ორგანიზატორებს სითამამე, ჩვეულებრივი საერთაშორისო ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატად გადაეკეთებინათ.

ლალი დოლიძე

მხატვრულმა ტანვარჯიშმა ევროპის ქვეყნებში ფეხი მოიკიდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ცოტა მოგვიანებით იგი კონტინენტის საზღვრებსაც გასცდა, სამოციანი წლების მეორე ნახევარში კი უკვე მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში აღიარებული დისციპლინად ითვლებოდა. აი, სწორედ მაშინ გახდა საჭირო ჯერ ოფიციალური ტურნირების კლასიფიკაცია, მერე კი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების გამოჯვნა. მაგრამ სრული ჰარმონიისა და თანხმობის მიღწევა ამ თითქოს არც ისე პრინციპულ საკითხში მოხერხდა მხოლოდ 1978 წელს, პირველი მსოფლიო ჩემპიონატიდან ზუსტად 15 წლის შემდეგ.

მხატვრული ტანვარჯიში სპორტია, თანაც პოპულარული და საყოველთაოდ დაფასებული. მაგრამ იგი, ამავე დროს, გახლავთ „სრულყოფილი სხეულის სიმბოლო, პლასტიკისა და გრაციის ენით ამეტყველებული". მხატვრული ტანვარჯიშის ასეთ დეფინიციას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ვხვდებით და იგი ალბათ საწყისს იღებს ფრანგი ავტორის დელსარტის პოპულარული წიგნიდან „მხატვრული ჟესტის გრამატიკა". სიტყვა „გრამატიკა" წიგნის სათაურში იმაზე მიუთითებს, რომ ფრანგი ავტორი თავის გამოკვლევას, უპირველეს ყოვლისა, სასკოლო განათლებას უკავშირებს. რა ფორმით ან რა კუთხით, ეს სულ ერთია. მთავარი ის გახლავთ, რომ მხატვრული ჟესტის ენა მას ფიზიკური აღზრდის საშუალებად მიაჩნია და, ამდენად, მხატვრულ ტანვარჯიშს ერთგვარ კომპლექსურ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდის ფიზიკურ, მუსიკალურ, რიტმულ აღზრდაში, საბოლოოდ კი — სხეულის სილამაზის ჩამოყალიბებაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი

ჩვენც ხომ სპორტსმენები ვიყავით

რისთვის იძენს ქონებას «ფალავანი»

გაზეთ „სარბიელის“ მკითხველებს ალბათ გეხსომებათ: სულ ახლახანს გაგაცანით მრავალდარგობრივი ასოციაცია „ფალავანი“ და მისი ხელმძღვანელები. ზოგმა იქნებ იმ „წარდგენაში“ მხოლოდ აღნიშნული ორგანიზაციის რეკლამა დაინახა, რადგან, ის დიდი მიზნები, რომელიც „ფალავანს“ დაუსახავს ჩვენი სპორტისა და ეკონომიკის საკეთილდღეოდ, დაპირებათა დღევანდელ კორიანტელში იქნებ არცთუ დამაჯერებელი ჩანდეს. ამ ეჭვის გაბათილება ჩვენთვის უკვე საკმაოდ იოლია და მკითხველიც რომ არ შევაწყინოთ, აქვე ვიტყვით, თუ რა მოასწრო ამ მოკლე ხანში „ფალავანმა“:

დღეს „ფალავნის“ სტიპენდიანტთა (300-300 მანეთი) სიაში ირიცხებიან ძიუდოისტები: ამირან ტოტიკაშვილი, გერასიმე ხაბულიანი, ზაზა და ჯონდო დაბრუნდაშვილები და კიდევ 11 სხვა, მესტენდურეები: თამაზ იმნაიშვილი, გია შენგელია, დავით ქვათაძე და მათი ასევე სახელოვანი მწვრთნელი ზურაბ მაჩხანელი... საკმარისია? აქ აღარ ჩამოვთვლით სპორტისთვის გაწეულ სხვა სახის დახმარებებსაც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ძნელ პერიოდში.

— „სექტემბრიდან გვინდა რომ რაიონიდან თბილისში ჩამოვიყვანოთ ნიჭიერი მოზარდი სპორტსმენები და აქ ჩვენი ხარჯით ვასწავლოთ და სპორტში ვამეცადინოთ, — გვითხრა „ფალავნის“ პრეზიდენტმა ბატონმა გოდერძი ველიჯანაშვილმა, — ჩვენს თავზე ავიღებთ მათ შეჯიბრებაზე გამგზავრებისა და გამოსვლის ხარჯებსაც“...

თვითონ „ფალავანსაც“ აქვს საკუთარი სპორტული კლუბი „მთაწმინდა“, რომელიც თანდათან იკრებს ძალას. ეს სრულიად შეესიტყვება მის მესვეურთა ჯანსაღ ზრახვებს: აქციონ ეს მეთაური კლუბი რესპუბლიკაში ერთ-ერთ უძლიერესად (მეთაური იმიტომ, რომ „ფალავანმა“ სხვა სპორტული კლუბებიც გახსნა).

— „ძალიან მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ პოლონეთის ძიუდოს ფედერაციასთან, — განაგრძო „ფალავნის“ პრეზიდენტმა, — იგი ახლო მომავალში ჩვენი შუამავალი უნდა გახდეს ევროპის ფედერაციებთან ურთიერთობაში. დღესდღეობით კი, ვარშავაში, ახალგაზრდა ძიუდოისტთა უმაღლესი „ა“ ლიგის ტურნირზე მოგვიწვია. სხვათა შორის, იქაური ძიუდოს ფედერაცია კომერციულ საქმიანობასაც ეწევა და მათთან თანამშრომლობა, მით უმეტეს რომ ისინიც არიან ამით დაინტერესებული, ძალზე ხელსაყრელი ჩანს. პირველი წინადადება უკვე შემოგვთავაზეს“...

აქ ალბათ დროა ისიც ვთქვათ, რომ ასოციაცია „ფალავანი“ სრულებით არ გახლავთ „მარტოხელა მგელი“, თავის საქმიანობას წარმართავს ჩვენი სპორტის სხვა სტრუქტურებისა და განსაკუთრებით ფედერაციების გეზის შესატყვისად. ამით მუშაობის ეფექტიც მეტია და გაუგებრობა — ნაკლები. ეს საკმაოდ იოლად ხერხდება: ადრეც გითხარით, რომ „ფალავანს“ სათავეში ვეტერანი სპორტსმენები უდგანან.

— ამდენი ფული საიდანო? — იტყვის ზოგი, სპორტსმენთა სტიპენდიებზე და სხვა ასეთ რამეზე რომ წაიკითხავს. დროული კითხვაც იქნება... „ფალავანი“, თავიც რომ შეინახოს და სპორტსაც დაეხმაროს, დიდ სამეურნეო და კომერციულ საქმეს ეწევა, თან უფრო ისეთს, ყველაზე ძალიან რომ გვაკლია. უკვე შეიძინა საღორე, საქათმე და საქონლის ფერმები. (მათ უკვე დაიწყეს მუშაობა), სხვა სამრეწველო ობიექტები, მაგალითად, სამშენებლო მასალების საამქრო... ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ „ფალავანი“ მძლავრ კომერციულ ორგანიზაციად უნდა იქცეს. ამას ჩვენზე უფრო კარგად ალბათ ფინანსისტები ატყობენ, ყოველ შემთხვევაში, ასოციაცია „მრეწველობა-მშენებლობის“ სრულ მხარდაჭერას გრძნობს.

თეა ბერიშვილი

დორის ზაილერ-პლატი (შუაში) თბილისის მე-2 პოლიკლინიკაში.

ყველაფერი კარგად იქნება

— ამბობს ამერიკელი დოქტორი-ფსიქოლოგი, მრავალპროფილიანი კორპორაცია „ამირანის“ პრეზიდენტი ქალბატონი დორის ზაილერ-პლატი. მან თბილისში ჩამოიყვანა სტომატოლოგთა 11-კაციანი ჯგუფი იუტას შტატის ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტიდან. ქალბატონ პლატთან ჩვენი შეხვედრის მიზეზი იყო ოთხი წლის წინათ ტრავმირებული მოჰიდავის გიგა რთველიაშვილის მკურნალობის საკითხი. საქმე ისაა, რომ სწორედ ქალბატონ პლატის აქტიური მცდელობით მოხერხდა ორი კვირის წინ გიგას გამგზავრება სოლტ-ლეიკ-სიტიში, სადაც იგი მოათავსეს მეტად პრესტიჟულ „დასავლეთის რეაბილიტაციის ინსტიტუტში“.

— გიგა ძალზე პოპულარული გახდა მთელს ქალაქში მას შემდეგ, რაც ინგლისურ ენაზე მისცა ინტერვიუ ადგილობრივ ტელევიზიას — ამბობს ქალბატონი დორისი. — უკვე ერთი კვირაა, ინტენსიურად მკურნალობენ. ყოველდღე ცურავს მომხიბლავი მედდების დახმარებით. მალე გაირკვევა, საჭირო იქნება თუ არა ოპერაცია. სულ კი გიგას მკურნალობა, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, არანაკლებ სამ თვეს გასტანს. მშვიდად იყავით, იქ, ჩვენთან გიგას სითბო და ყურადღება არ მოაკლდება. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.

ფეხბურთი

ამერიკა ელის დიდ ფეხბურთს

ფეხბურთელთა მომავალი, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველთა მიერ განაცხადების წარდგენის ვადა 1 მაისს ამოიწურა. არა, ამჯერად პრეტენდენტ ქვეყნებზე არ გვაქვს საუბარი, რამდენადაც ფიფა-მ უკვე დიდი ხანია გააკეთა არჩევანი და ეს საპატიო უფლება ამერიკის შეერთებულ შტატებს მიანიჭა. საქმე ეხება ქალაქებს, რომლებსაც მომავალი ასპარეზობის მატჩების ჩატარება სურთ, აგრეთვე ჩემპიონატის გახსნისა და დახურვის ცერემონიის.

უნდა ითქვას, კომპეტენტურ ჟიურის პირველი განაცხადების განხილვისთანავე უამრავი თავსატეხი გაუჩნდა. ფიქრობდნენ, რომ კონკურსის პირველ ტურში განსახილველი იქნებოდა 20-22 კანდიდატურა, მაგრამ, თუ მათი რიცხვი 27-ს მიაღწევდა, ამას მართლაც ვერავინ ივარაუდებდა. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა მატჩების მასპინძლობის ამდენი მსურველი. ასე რომ, შეერთებულმა შტატებმა ასპარეზობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დაამყარა მსოფლიო რეკორდი. არ დაგავიწყდეთ, ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი არასდროს ყოფილა განსაკუთრებით პოპულარული.

თუმცა, საქმე მხოლოდ რაოდენობა არ არის. ექსპერტთა აზრით, კონკურსზე წარმოდგენილი ყველა ნაგებობა ტექნიკური აღჭურვილობით, კომუნიკაციათა სისტემით, სასტუმროებისა და აეროდრომების სიახლოვით სავსებით აკმაყოფილებს ფიფა-ს მოთხოვნებს. ბაზების ნახევარზე მეტს დღესვე შეუძლია მატჩებს უმასპინძლოს. ფიფა-ს პირობებით, ჩემპიონატისათვის უნდა გამოიყოს მხოლოდ თორმეტი სტადიონი, აქ კი კონკურსის პირველი ტური წარმატებით გაიარა უკვე ცხრამეტმა. ასე რომ, პირველობის ორგანიზატორებს ჯერ კიდევ დიდი ნერვიულობები ელით, სანამ საჭირო რაოდენობით ბაზებს შეარჩევდნენ. საკითხი საბოლოოდ გადაწყდება წლეულს დეკემბრის თვეში მეორე და უკანასკნელი შესარჩევი ტურის შემდეგ.

წინასწარი ვარაუდით, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვს ორ „ასიათასიანს“: პასადენის სტადიონ „როუზ-ბოულს“, რომელიც 104091 მაყურებელს იტევს (1984 წელს აქ ჩატარდა ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის ფინალური მატჩი და ტრიბუნებზე, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა), და მიჩიგანის უნივერსიტეტის სტადიონი „ენ არბორი“ — 101701 ადგილი. რეალურ კანდიდატთა რიცხვშია ლოს-ანჯელესის „მემორიალ კოლიზეუმი“ (92 ათასი ადგილი), რომელიც „როუზ-ბოულიდან“ ერთი საათის სავალზეა. ეს სტადიონი 1932 წლის ოლიმპიადის თამაშებისათვის აიგო, 1984 წლის ოლიმპიადისთვის კი იგი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გადააკეთეს და კეთილმოაწყვეს. მოწონებას იმსახურებს ნოქსვილის სტადიონი „ნეიღლენდი“ (ტენესის შტატი) — 92 ათასი ადგილი, აგრეთვე ორი საუნივერსიტეტო სტადიონი — სტანფორდისა (86 ათასი) და იელისა (71 ათასი). აქ ჩამოთვლილთა გარდა პირველი საკონკურსო ბარიერი გადალახა კიდევ ორმა 80000-ადგილიანმა და რვა ისეთმა სტადიონმა, სადაც ადგილების რაოდენობა 60 ათასს

არ აღემატება. მათს რიცხვში შედის სამი დახურული სტადიონი, რომელთა მსგავსი ჯერ არცკი უნახავთ ბევრი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს. ეს გახლავთ „პონტიაკ სილვერდუომი“ (72 ათასი ადგილი) — დეტროიტთან, ჰიუსტონის „ასტროდუმი“ (60 ათასი) და ახალი ორლეანის „ლუზიანა სუპერდუომი“ (60 ათასი).

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, პრეტენდენტთა შორის ნიუ-იორკს ვერ შეხვდებით. ამას თავისი მიზეზი აქვს. ნიუ-იორკი ყოველმხრივ კარგია მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად, მაგრამ... ამ უზარმაზარ ქალაქში მსგავსი რანგის ტურნირებისათვის გამოსადეგი სტადიონი არ არის. ამის გამო გულისტკივილს გამოთქვამენ არა მარტო ქალაქის მკვიდრნი, არამედ ფიფა-ს ხელმძღვანელებიც, რომლებმაც მასპინძლებს აშკარად აგრძნობინეს, თამაშების ნიუ-იორკში გამართვა სასურველი იქნებოდაო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ საქმეში „მილიონერთა ქალაქის“ მონაწილეობა დამატებით შემოსავალს მოუტანდა ფიფა-ს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. არსებობს დაინტერესების სხვა მიზეზებიც.

ამერიკის შეერთებული შტატები არ ეკუთვნის იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ევროპული ფეხბურთი პოპულარობით სარგებლობს. მაგრამ ნიუ-იორკი სწორედ ის ქალაქი გახლავთ, სადაც ფეხბურთი უყვართ. ეს გასაგებიც არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიუ-იორკი იმიგრაციის ცენტრია. აქ ცხოვრობს ევროპიდან და ლათინური ამერიკიდან ჩამოსული ასი ათასობით ადამიანი, ვისთვისაც ევროპული ფეხბურთი მუდამ იყო და კვლავაც იქნება ყველაზე საყვარელი, ყველაზე პოპულარული თამაში. ამიტომ, ფიფა-ს აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ნიუ-იორკში გამართვა ასპროცენტიანი დასწრების უდავო გარანტიაა.

როცა ნიუ-იორკის კანდიდატურაზე მსჯელობდნენ, გამოითქვა აზრი რომ კარგი იქნებოდა, მატჩები იელის უნივერსიტეტის სტადიონზე ჩაეტარებინათ. მაგრამ ეს სტადიონი ნიუ-ჰეივენშია, 125 კილომეტრის დაშორებით, ეს ადგილი კი, ცხადია, ნიუ-იორკს არ ეკუთვნის. ნიუ-იორკიდან ხუთი კილომეტრია სახელგანთქმულ „ჯაინთს სტედიუმამდე“, სადაც თამაშობდა პელეს, ბეკენბაუერის, ნეესკენსის დროინდელი არანაკლებ სახელგანთქმული „კოსმოსი“. მაგრამ ეს სტადიონი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებისათვის არ გამოდგება: საფარი სინთეზურია და მოედნის ზომებიც ბევრად ნაკლებია იმაზე, რასაც ფიფა-ს წესები მოითხოვს. გარდა ამისა, ტრიბუნები თითქმის ზედ ეკვრის მწვანე ხალიჩას. ასე რომ, ექსპერტთა აზრით, მისი რეკონსტრუქცია ბევრად უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ახალი სტადიონის აშენება. მაგრამ „ჯაინთს სტედიუმი“ ბრძოლას არ ეთიშება. ფიქრობენ, რომ არ შეიძლება ჩატარდეს მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ან დახურვის ცერემონია.

ესტუმრება თუ არა დიდი ფეხბურთი დიდ ნიუ-იორკს? ეს კითხვა დღეს ბევრს აღელვებს. მაგრამ ნიუ-იორკელები დააიმედა ქალაქის ხელისუფლებამ, რომელმაც მეტად ოპტიმისტური გადაწყვეტილება მიიღო: გამოიყო სახსრები 80000-ადგილიანი საფეხბურთო სტადიონის ასაგებად. ის აშენდება სარეკორდო ვადებში — კონკურსის მეორე ტურისათვის.

სხვათა შორის, ოცდაშვიდივე პრეტენდენტს თავის განაცხადთან ერთად ჩეკიც უნდა წარედგინა. სტადიონმა, რომელსაც ჯგუფური ტურნირის ერთი მატჩის ჩატარება სურს, 20000 დოლარი უნდა შეიტანოს. მერვედფინალისა და მეოთხედფინალის მატჩებისათვის გადასახადი 25 ათასი დოლარია, ნახევარფინალისთვის — 40 ათასი, ხოლო ფინალისათვის — 100 ათასი დოლარი. განაცხადი ჩემპიონატის გახსნისა და დახურვის ცერემონიის ჩატარებისათვის 70 ათასი დოლარად არის „შეფასებული“. ამასთან, პრეტენდენტს, რომელიც ბრძოლას გამოეთიშება, ფული უკან არ უბრუნდება.

ასეა თუ ისე, საორგანიზაციო კომიტეტის სალაროში უკვე შევიდა სამ მილიონ დოლარზე მეტი, მაგრამ ორგანიზატორებმა მოასწრეს წინასწარ გამოეანგარიშებინათ ჩემპიონატის სავარაუდო შემოსავალიც. იმედი აქვთ, რომ ეს თანხა 100 მილიონ დოლარს გადააჭარბებს.

სოსო დათიკაშვილი,
„სარბიელის“ კორესპოდენტი აშშ-ში.
ნიუ-იორკი.

ჯასტერდამი „ამიქსი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

არი ვან ეიდენი, საქვეყნოდ ცნობილი საფეხბურთო [illegible], ამსტერდამის „აიაქსის“ გენერალური მენეჯერი, რაღა თქმა უნდა, ის კაცი არ არის, ვისაც პაემანს იოლად დაუნიშნავ. მას უკვე დაურეკეს ჰოლანდიის ერთ-ერთი უმსხვილესი გაზეთის „დე ტელეგრაააფის“ რედაქციიდან (ამსტერდამში მე სწორედ ამ გაზეთის მიწვევით გახლდით), სთხოვეს მიეღო კორესპონდენტი „შორეული საქართველოდან“, მაგრამ შეხვედრა მაინც გაჭიანურდა. გადიოდა დღეები, ილეოდა ჩემი მოთმინება და, რაც მთავარია, ვალუტა — ამსტერდამში ცხოვრება ძალიან ძვირი ღირს. ბოლოს, როგორც იქნა, დარეკეს „აიაქსის“ შტაბიდან: არი დილის ათის ნახევარზე გელოდება. აი, ასე, მოკლედ და ნათლად! თუ ეს დრო ხელს არ გაძლევს, რა გაეწყობა, შეგიძლია უკან გაემგზავრო, შორეულ საქართველოში.

ასეთ წვრილმანებზე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებდი. ბოლოსდაბოლოს, მართალი ბრძანდებით, როგორ ავიღო ინტერვიუ — ეს მხოლოდ ჩემი პრობლემაა. მაგრამ მე მინდოდა ერთგვარად გამეფანტა ეიფორია და ზოგიერთის ცრუ იმედები, თითქოს სადღაც, რომელიღაც ქვეყანაში ვიღაცეები სხედან და მოუთმენლად ელიან ჩვენს დანახვას, რომ გულში ჩაგვიკრან, რომ ქართული ფეხბურთი (სხვათა შორის, შეხვედრაზე საქართველოს დამოუკიდებელი ფედერაციის ემბლემა მიმქონდა), მისი წარსული, აწმყო ან მისი მომავალი ვინმეს გაგიჟებით აინტერესებს. ჰოლანდიელები ძალიან თბილი, კეთილი, მეგობრული ხალხია, ისინი, ისევე, როგორც თითქმის ყველა უცხოელი, ვისაც შეეხვედრივარ, ძალზე დაკავებულნი რიან თავიანთი სამუშაოთი, თავიანთი საკუთარი საქმეებით. აჰ, თქვენ დამოუკიდებლობა გამოაცხადეთ? აჰ, საკავშირო ჩემპიონატებში აღარ მონაწილეობთ? აჰ, თქვენი სპორტსმენები საბჭოთა დროშით გამოსვლაზე უარს ამბობენ? ჰოო?...ძალიან კარგი!

დიახ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ახლებური ვერსიით როგორ წარმოვთქვათ „სეზამ, გაიღე!“, რათა მთელი საფეხბურთო სამყარო ჩვენკენ შემობრუნდეს. ჯერჯერობით იმის საშუალებაც არა გვაქვს, რომ ჩვენი სიტყვა საქმით დავამტკიცოთ —, საერთაშორისო სარბიელზე არ გვიშვებენ. „ყოფილი დიდება“ ამ შემთხვევაში საიმედო დასაყრდენი ვერ არის. საქართველოს გუნდი — თბილისის „დინამო“ — ორჯერ შეხვდა ჰოლანდიელ ფეხბურთელებს. ეს მოხდა 1972 წელს უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალში (მატჩი „ტვენტესთან“) და 1981 წელს — იმავე თასის გათამაშების ნახევარფინალში („ფეიენოორდთან“). მაგრამ სპეციალისტებსა და ჟურნალისტებს, რომლებსაც ჰოლანდიაში სტუმრობის ორიკვირის მანძილზე შეეხვდი, არც ერთი მატჩი არ ახსოვდათ. იქნებ ქართული ფეხბურთი რომელიმე სხვა ქვეყანაში უფრო პოპულარული, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ყველა — სპეციალისტებმაც, ჟურნალისტებმაც, ხომ ვიცით, რომ ამსტერდამში არსებობს ფეხბურთთელა გუნდი „აიაქსი“? ისინი რატომ არ გვიცნობენ? გეწყინება კაცს...

მაშ, როდისღა დადგება ჩვენი დრო — დრო მსოფლიოს საფეხბურთო მინდვრებზე ტრიუმფით სვლისა, დიდების დრო? დრო, როცა ჩვენს გასაცნობად მსოფლიოს ყველა კუთხიდან დაიძვრება ხალხი, თვით „შორეული“ ჰოლანდიიდანაც კი, ჩვენ კი დავივიწყებთ ყველა წყენას, ყველა გულისტკივილს, ინტერვიუსთვისაც შეხვედრას ხალისით დავუნიშნავთ სტუმრებს და...

არ ვიცი, არ ვიცი...ახლა კი პირადად ჩემთვის დრო, როცა შეიძლება ვიღაცას ქართულ ფეხბურთზე ვუამბო, სავსებით ნათლად და ზუსტად არის მონიშნული: დილის ათის ნახევარი.

ცხრის ნახევარზე ტრამვაიში ჩავჯექი (გარდა საკუთარი მანქანებისა და ველოსიპედებისა, ეს, შეიძლება ითქვას, მგზავრობის ძირითადი საშუალებაა ამსტერდამში) და სტადიონ „აიაქსისკენ“ გავემგზავრე. რკინიგზის ცენტრალური სადგურიდან (აქ არის ყველა მიმართულების ტრამვაის ბოლო გაჩერება) სტადიონამდე სულ ოცი წუთის სავალია. მერე არი ვან ეიდენმა მითხრა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა გულშემატკივრებს მუდამ სთხოვს სწორედ ტრამვაით (№9) მივიდნენ სტადიონამდე, რადგან იქ მანქანების გასაჩერებელი ადგილი არ არის.

სხვათა შორის, ჩემი აზრით, ეს არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ გადასაჭრელი აქვთ. ყველაფერი დანარჩენი ამსტერდამში ჩინებულად არის მოგვარებული.

სტადიონი პატარა — ოცდაზუთი ათას მაყურებელს იტევს, ძალიან სუფთაა, მშვენივრად მოვლილი. თურმე აქვე, სტადიონზევე, ცხოვრობს ოჯახი, რომლის ყველა წევრიც ამ ტერიტორიის მოვლით არის დაკავებული. ეს არის მათი სამუშაო. სტადიონს აქვს სათადარიგო მინდორი დიდებული მწვანე ბალახის საფარით, ოფისის შენობა (მის შესახებ ქვემოთ გიამბობთ), მაღაზია, სადაც შეგიძლიათ „აიაქსის“ ემბლემით დამშვენებული სუვენირი შეიძინოთ. ასე ნაცნობი — პოპულარული — სახელწოდების ნაკეთობათა ასორტიმენტი გამუდმებით იზსება. ჰოლანდიის ტელევიზიის ოცი პროგრამიდან უმეტესობა თითქმის ყოველდღე გადმოსცემდა ახალი სარეცხი ფხვნილის — „აიაქსის“ რეკლამას...

— გამარჯობათ, მისტერ არი!

არი ვან ეიდენი, საფეხბურთო კლუბ „აიაქსის“ გენერალური მენეჯერი, ასე ორმოცდახუთი წლის სიმპათიური მამაკაცი. დიდებული კოსტიუმი აცვია. ყველაზე ძვირ მაღაზიაში ვნახე ზუსტად ასეთი, რაღაც ზღაპრული ფასი ედო. სხვათა შორის, არი ვან ეიდენი ათი წლიდან თვითონაც თამაშობდა „აიაქსის“ ბავშვთა გუნდში, ოცი წლისა პროფესიონალიც კი გახდა, მაგრამ მალე მიატოვა სარბიელი — ტრავმამ შეუშალა ხელი. თხუთმეტი წელია არი ვან ეიდენი კვლავ დაუკავშირდა „აიაქსს“ — ჯერ კლუბის ოცდახუთკაციანი პრეზიდიუმის წევრი იყო, მერე ხუთი წელიწადს ვიცე-პრეზიდენტად იმუშავა, ახლა კი, ბოლო ხუთი წელია, გენერალური მენეჯერი გახლავთ.

ჩემმა მასპინძელმა მთელი თავისი ბიოგრაფია მოკლედ, სულ რაღაც რამდენიმე წუთში გამაცნო.

ახლა ჩემი ჯერიც დადგა. ჩანთიდან ამოვიღე ორი ვიმპელი საქართველოს დამოუკიდებელი ფედერაციის ემბლემით, პირველი ეროვნული ჩემპიონატის ამსახველი ფოტოების მთელი დასტა (ამ სურათებით „სარბიელის“ რედაქციამ მომამარაგა) ქართული სპორტული გაზეთების რამოდენიმე ნომერი. ბატონმა არიმ ფოტოებს დაუწყო თვალიერება. ნოდარ ახალკაცი, ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე, ახალი თაობის ფეხბურთელები... ამასობაში მე ოთახში მიმოვიხედე... პატარა ოთახია, კედლები მთლიანად სხვადასხვა ქვეყნებისა და კლუბების ვიმპელებით არის დაფარული. რამოდენიმე მეცნო კიდეც — ერევნის „არარატისა“ და კიდევ რომელიღაც საბჭოური ვიმპელი, ლენინის თავით და დევიზით — „წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!..“

რაკი კომუნიზმზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ვიტყვი, რომ კომუნისტური პარტია, რომელიც ახალი საზოგადოების აშენებას ისახავდა მიზნად და ჰოლანდიაში ისედაც ყველაზე მცირერიცხოვანი იყო, ახლა საბოლოოდ დაიშალა. ორგანიზაციამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და მისი რამდენ[illegible]ე წევრი „მწვანეთა“ კავშირში შევიდა...

თუმცა ეს ისე, სიტყვაზე, თორემ კომუნიზმი აქ რა მოსატანი იყო. მე და ბატონი არი იმ დღეს ბევრად უფრო რეალურ ამბებზე ვსაუბრობდით.

— რამდენი კაცი მუშაობს ოფისში?

— ოცდახუთი.

— ყველა ხელფასს იღებს?

— პრეზიდიუმის ოცი წევრი ნებაყოფლობით საწყისებზე მუშაობს უსასყიდლოდ, ხუთი კი ფულს იღებს. ესე იგი ეს მათი ძირითადი სამუშაოა. მაგრამ პრეზიდიუმის წევრი და ოფისის თანამშრომელი — ეს ერთი და იგივე არ არის. მათ განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ და პასუხისმგებლობაც სხვადასხვაა. პრეზიდიუმის წევრებს ირჩევენ, ოფისის თანამშრომლებს კი ჩვეულებრივად ვიღებთ სამუშაოდ.

— გენერალურ მენეჯერს ხელფასი ეძლევა?

— დიახ, მე მხოლოდ აქ ვმუშაობ.

— აღარ გეკითხებით, რამდენს იღებთ, მაგრამ მაინტერესებს, აქ უფრო დიდი ხელფასებია თუ ჰოლანდიის სხვა საფეხბურთო კლუბებში?

— ერთხელ ჩვენ ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და გამოიკვეთა, რომ ხელფასი ერთი დონის თითქმის ყველა კლუბში დაახლოებით თანაბარია.

— თქვენი კლუბი მხოლოდ პროფესიონალებს აერთიანებს?

— არა, გარდა „აიაქსის“ ძირითადი — პირველი გუნდისა, სადაც მხოლოდ პროფესიონალები თამაშობენ, მეორე გუნდიც გვყავს, 18-19 წლის ბიჭებისთვის. მათგან მხოლოდ ზოგიერთს ეძლევა ხელფასი კონტრაქტით, დანარჩენები „მოყვარულები“ არიან. გარდა ამისა, კლუბში კიდევ ცხრა გუნდი ვარჯიშობს, რომლებშიც ბავშვები და ჭაბუკები არიან გაერთიანებული — რვიდან თექვსმეტ-თვრამეტ წლამდე. ამ გუნდებში სულ 169 ფეხბურთელია. მონდომებისა და შრომისათვის ისინი მხოლოდ ერთ ჯილდოს მიიღებენ — და ეს ჯილდო „აიაქსის“ პროფესიულ გუნდში მოხვედრაა. არავითარი ფული...

— საწვრთნელი მეცადინეობები რამდენჯერ ტარდება?

— კვირაში 2-5-ჯერ, ასაკის მიხედვით. პროფესიონალებში, მაგალითად, ხუთჯერ ვარჯიშობენ.

— რამდენი მწვრთნელია კლუბში?

— ცხრა. პროფესიონალებთან მათგან მხოლოდ სამი მუშაობს.

ჩვენი საუბარი საარტელერიო მომზადებას ჰგავს. მე „ვისვრი“ შეკითხვას, ის „ისვრის“ პასუხს. ვგრძნობ, რომ მაინცდამაინც კარგი მსროლელი ვერა ვარ, იმიტომ რომ ჩიხში ერთხელაც ვერ მოვამწყვდიე, ეგ კი არა, დადიკრეაც არ სჭირდება პასუხის გასაცემად. ეტყობა, ბატონი არისთვის ჟურნალისტებთან შეხვედრა და საუბარი იშვიათი რამ არ არის...

— ფეხბურთელები რამდენ ხნით ცხოვრობენ აქ, კლუბის ბაზაში?

— ზოგჯერ აქ ათევენ ღამეს რომელიმე საპასუხისმგებლო მატჩის წინ. მაგრამ ბევრი დაოჯახებულია, თვითონ პირადი ცხოვრება აქვს. ვცდილობთ ფეხბურთელს არ დავურღვიოთ ჩვეულებრივი რეჟიმი.

— ვარჯიშზე ან მატჩზე დაგვიანებისათვის ფეხბურთელი როგორ ისჯება?

— ჩვენთან არავინ აგვიანებს. წესებში პუნქტი გვაქვს შეტანილი, რომლის მიხედვითაც ფეხბუთელი დაგვიანებისათვის 500 გულდენით ჯარიმდება. (ეს დაახლოებით 250 ამერიკული დოლარია), მაგრამ ჯერჯერობით ეს პუნქტი არ გამოგვიყენებია.

— თქვენი ფეხბურთელები სიგარეტსა და სასმელზე როგორ არიან?

— ყველამ თვითონ იცის თავისი საქმე. თუ უნდათ, მოსწიონ. ჩვენ მოწევა ავუკრძალეთ მხოლოდ სტადიონის ტერიტორიაზე. იგივე შემიძლია ვთქვა სასმელის შესახებ. ბევრი სიამოვნებით სვამს ლუდს თამაშის შემდეგ. აქვე იყიდება ბარში.

— გოგოები? ამასთან დაკავშირებით არის გუნდში რაიმე პრობლემები?

— მესმის, რასაც მეკითხებით. ამ მხრივ ჩვენთან არავითარი პრეცენდენტი არ მომხდარა. ჩვენი ფეხბურთელების თაყვანისმცემლები ძალზე თავდაჭერილად იქცევიან.

— გულშემატკივრობა? ხულიგნობის შემთხვევები ხშირია?

— ჩვენ გამუდმებით ვმუშაობთ გულშემატკივრებთან. გვყავს კაცი, რომელსაც გულშემატკივართა ორგანიზება ევალება, ამავე დროს, გვეხმარება ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ კაცს კლუბი ფულს უხდის. თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, იგი თვით გულშემატკივრებს იცავს ხულიგნებისაგან. ფეხბურთელების დაცვა კი იმავე ხულიგნებისაგან სხვისი მოვალეობაა. ამ საქმეს კლუბის პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი ასრულებს.

— არსებობს „აიაქსის“ გულშემატკივართა კლუბი?

— დიახ. ამ კლუბში შვიდი ათასამდე ადამიანია გაერთიანებული. მათთვის სტადიონზე ბილეთები შეღავათიან ფასებში იყიდება.

არიმ შეუმჩნეველად ოდნავ აიწია პიჯაკის სახელო და საათი დამანახვა. მეტისმეტად აშკარა მინიშნებაა. ეტყობა მართლაც დიდხანს შევრჩი. საუბრის ძირითადი დრო ჭართულ ფეხბურთს დაეთმო. არ ვიცი, ბატონი არი რას ფიქრობს, მე კი ეს დრო დაკარგულად არ მეჩვენება.

— შეიძლება სტადიონი დავათვალიერო? — ვეკითხები დამშვიდობებისას.

— როგორც გნებავთ, — არი უსაზღვროდ თავაზიანია — ჩვენს თანამშრომელს ვთხოვ მეგზურობა გაგიწიოთ.

შემოდის პიტერი, ცისფერთვალა, ხუჭუჭთმიანი მამაკაცი. ხელში მძიმე ასხმული უჭირავს — „აიაქსის“ ბაზის ყველა კარის გასაღებებისა. შეენიშნე რომ აქ ყველა თანამშრომელს გასაღებები უჭირავს ხელში და ყველა კარი საგულდაგულოდ იკეტება. ამიტომ მაინცდამაინც არ მჯერა, რომ „აიაქსს“ ხულიგანი გულშემატკივრების პრობლემა არ აწუხებს.

მე და პიტერი მეორე სართულზე ავდივართ. აქ ორ ოთახში „აიაქსის“ მუზეუმია მოწყობილი, სადაც კლუბის მიერ მოპოვებულ ყველა პრიზს და ჯილდოს ნახავთ. აქვეა სამეცადინო ოთახი, საქმიანი შეხვედრების ოთახი („ბიზნესოთახი“). ბარი. ბარის შესასვლელთან პატარა ღია სტელაჟია ფოსტისათვის. ერთ ფეხბურთელს — სტეფან პეტერსს — ყველაზე მეტი წერილი მიუღია. ამას წინათ ეს ფეხბურთელი დაშავებულა და გულშემატკივრები ცდილობენ გაამხნეონ, მხარში ამოუდგნენ.

— „აიაქსის“ ბიჭებს რომელი სასმელი უფრო უყვართ? — ვეკითხები ბარმენს.

— ჩვენთან არჩევანი დიდია, თუმცა სპირტიანი სასმელი არა გვაქვს. ბევრს ლუდი უყვარს, განსაკუთრებით მატჩის შემდეგ.

— ძალიან ხმაურობენ ხოლმე?

— არა, თავაზიანი, წესიერი ბიჭები არიან. მატჩის შემდეგ მოდიან, თავიანთ ცოლებთან ან მეგობარ ქალიშვილებთან ერთად. მუსიკას უსმენენ, ცეკვავენ, სნუკერს თამაშობენ (ბილიარდის ერთ-ერთი სახეობაა).

სამეცადინო ოთახში მერხები დგას, კედელზე დაფა კიდია. კლუბი გასამრჯელოს უხდის მასწავლებლებს, რომლებიც გაკვეთილებს უტარებენ ნორჩ ფეხბურთელებს. პიტერი მარწმუნებს, რომ მოსწავლეებს აქ არავითარი შეღავათი არ ეძნებათ. თუ არ შეგიძლია სკოლაშიც ისწავლო და ფეხბურთიც ითმაშო, ერთ-ერთზე უარი უნდა თქვა. აქვე სასკოლო ასაკის ფეხბურთელებთან ერთად შეცადინეობს „აიაქსის“ ერთი ყოფილი მოთამაშე, 22 წლის ჭაბუკი. იგი თამაშის დროს დაშავებულა და ახლა „აიაქსმა“ დაზღვევის ხარჯზე მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა შეინახოს. მაგრამ კლუბი ამას გარდა ცდილობს ახალგაზრდა კაცს ცოდნაც მისცეს, გზაზე დააყენოს, დაეხმაროს.

დავათვალიერეთ დასასვენებელი ოთახები, გასახდელები, სათავსეები, სამრეცხაო, ერთი სიტყვით, მთელი სტადიონი. ყველგან განსაცვიფრებელი სისუფთავეა, თუმცა მთელ ამ მეურნეობას მხოლოდ ერთი ოჯახი უძღვება.

ახლა მინდვრის სანახავად გავდივართ. ჩემი კოლეგები, ჟურნალისტები ადგილობრივი ტელევიზიიდან, ტრიბუნებზე სხედან და სიცივისაგან მობუზულნი, „აიაქსის“ საწვრთნელ ვარჯიშის დაწყებას ელოდებიან. სხვათა შორის, ეს ბოლო ვარჯიშია ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩის წინ. სულ სეზონში გუნდი 34 შეხვედრას ატარებს.

ცივა. ყოველდღე წვიმს და, თუმცა ივნისი მიილია, ჰაერი უფრო და უფრო ცივდება. კიდევ კარგი, სტადიონის ტრიბუნები გადახურულია („სადგომი“ ადგილების ჩათვლით) და ზვალ, მატჩის დროს, გულშემატკივრები არ დასველდებიან. ფეხბურთელებს კი ალბათ ამინდზე საფიქრელად არ ეცლებათ — ზვალ ამ სტადიონზე ბოლო, გადამწყვეტი მატჩია დანიშნული. თუ ზვალ არნჰემის „ვიტესე“ ორი ბურთის სხვაობით დაამარცხა, „აიაქსი“ ჩამოიტოვებს მთავარ მეტოქეს — „პ.ს.ვ. ეინდჰოვენს“ (ეს გუნდი ფირმა „ფილიპსს“ ეკუთვნის) და ჰოლანდიის ჩემპიონი გახდება. წლევანდელ ჩემპიონატში ეს გუნდები უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — „აიაქსმა“ შინ გაიმარჯვა ანგარიშით 3:1, სტუმრად კი წააგო — 1:4. ამგვარად, ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში „პ.ს.ვ. ეინდჰოვენი“ ლიდერობს.

...სტადიონს ფეხბურთელები მოადგნენ ახალთახალი „ოპელებით“. ადრე კლუბის სპონსორი (ერთ-ერთი სპონსორი) ფირმა „სიტროენი“ ყოფილა, ახლა კი იგი „ოპელს“ შეუცვლია. პიტერმა მითხრა, რომ ყველა ფეხბურთელი თვითონ ირჩევს მოდელს და უფასოდ სარგებლობს მანქანით. „აიაქსის“ ფეხბურთელზე უკეთესი რეკლამა ავტომანქანას ალბათ არც სჭირდება.

ჟურნალისტები ფეხბურთელებს შემოეხვივნენ, უნდათ ყველას ათქმევინონ ორიოდე სიტყვა ზვალის მატჩზე. ჰოლანდიელი კოლეგები მეც მაქეზებენ, მიდი, შენც ჰკითხე რამე, აქ ყველა ლაპარაკობს ინგლისურადო. მაგრამ მე მოთამაშეებს არაფერს ვეკითხები, სულ ერთია, ზვალ მატჩს მაინც ვერ დავესწრები, და ვერც იმას შევიტყობ, გამართლდა თუ არა ფეხბურთელების დღევანდელი სიტყვები. ზვალ, როცა №9 ტრამვაი გულშემატკივრებს „აიაქსის“ პატარა და მყუდრო სტადონთან მოიყვანს, მე უკვე პაერში ვიქნები: ამსტერდამი-მოსკოვი, მერე კი — მოსკოვი-თბილისი, შინისაკენ...

პეპი ბოჟოურიშვილი

ამსტერდამი — თბილისი.

P.S. როგორც უკვე ცნობილია, ჰოლანდიის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „პ.ს.ვ. ეინდჰოვენმა“.

ტექნიკური შედეგები

ფარიკაობა

მსოფლიო ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. გუნდური. რაპირა. ქალები. 1. იტალია; 2. სსრკ; 3. გერმანია. ვაჟები. 1. კუბა; 2. გერმანია; 3. საფრანგეთი. დაშნა. ვაჟები. 1. სსრკ; 2. საფრანგეთი; 3. გერმანია. ხმალი. 1. უნგრეთი; 2. სსრკ; 3. გერმანია.

ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი ოუნიორთა შორის (20 წლამდე). პორტუგალია. მესამე ტურის შეხვედრები. „ა“ ჯგუფი. ირლანდია — არგენტინა — 2:2, პორტუგალია — კორეა — 1:0. 1. პორტუგალია — 6 ქულა; 2. კორეა — 3; 3. ირლანდია — 2; 4. არგენტინა — 1. „ბ“ ჯგუფი. კოტ დ'ივუარი — მექსიკა — 1:1, ბრაზილია-შვეიცარია — 2:0. 1. ბრაზილია — 5; 2. მექსიკა — 4; 3. შვეიცარია — 2; 4. კოტ დ'ივუარი — 1. „გ“ ჯგუფი. სსრკ — ტრინიდადი და ტობაგო — 4:2, ავსტრალია—ეგვიპტე — 1:0. 1. ავსტრალია — 6; 2. სსრკ — 4; 3. ეგვიპტე — 2; ტრინიდადი და ტობაგო — 0. „დ“ ჯგუფი. ესპანეთი — სირია — 0:0, ინგლისი — ურუგვაი — 0:0. 1. ესპანეთი — 5; 2. სირია — 4; 3. ინგლისი — 2; 4. ურუგვაი — 1. მეოთხედფინალები. სსრკ — ესპანეთი — 3:1, ბრაზილია — კორეა — 5:1, პორტუგალია — მექსიკა — 2:1 დამატებით დროში (1:1); ავსტრალია — სირია — 5:4 პენალტებით (1:1). ნახევარფინალები. ბრაზილია — სსრკ — 3:0, პორტუგალია — ავსტრალია — 1:0.

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი. რომი. ვაჟები. „ა“ ჯგუფი. პოლონეთი — ბულგარეთი — 83:75. „ბ“ ჯგუფი. საფრანგეთი — ჩეხოსლოვაკეთი — 104:80.

მძლეოსნობა

საერთაშორისო ტურნირი. ნოიბრანდენბურგი. ქალები. 100 მ. 1. მარიონიალი (ნიგერია) — 11,07; 2. კატრინ კრაბე (გერმანია) — 11,15. 400 მ. 1. ლილი ლიზერვუდი (აშშ) — 50,14; 2. ბრიტ ბროიერი (გერმანია) — 50,21. 800 მ. ზიგრენ გრაუ (გერმანია) — 1. 59,83. 100 მ. თარჯრბენი. ალეოშა ლოპესი (კუბა) — 13,12. ბადრო. ილკე ვილუდა — 67,70მ. ბირთვი. სტეფანი შტორბი (ორივე გერმანია) — 19,80მ. ვაჟები. 400 მ. მაიკლ ჯონსონი (აშშ) — 44,97. 800 მ. ნურედინ მორსელი (ალჟირი) — 1. 44,85. 3000 მ. ბობ კენედი (აშშ) — 7. 48,02. ბადრო. იურგენ შულცი (გერმანია) — 65,08 მ. ჭოკი. 1. სერგეი ბუბკა — 570 სმ; 2. მაქსიმ ტარასოვი — 570 სმ. 110 მ თარჯრბენი. იგორ კაზანოვი (ყველა სსრკ) — 13,63.

საერთაშორისო ტურნირი. ბელფასტი. 100 მ. ლინფორ კრისტი — 10,20. 800 მ. სტივ ჰერდი — 1. 46,77. მილი. პიტერ ელიოტი (ყველა — დიდი ბრიტანეთი) — 3. 55,17. 3000 მ. ფრენკ ო' მარა (ირლანდია) — 7. 48,62. 110 მ. თარჯრბენი. კოლინ ჩეკსონ — 7. 48,62. ქალები. ლზ მაკკოგლანი (ორივე — დიდი ბრიტანეთი) — 8. 45,19.

ფრენბურთი

„მსოფლიო ლიგის“ გათამაშება. ვაჟები. მეორე წრის პირველი ტური. „ა“ ჯგუფი. კანადა-კუბა — 1:3, 0:3; ბრაზილია-საფრანგეთი — 3:0, 3:1. „ბ“ ჯგუფი. იტალია-აშშ — 3:0, 3:0; იაპონია-სსრკ — 1:3, 3:1.

სპორტული ტანვარჯიში

ევროპის თასის გათამაშება. ბრიუსელი. მრავალჭიდი. ვაჟები. 1. ფერი ჩეჩი (იტალია) — 57,92; 2. ალექსეი ვოროპაევი — 57,5; 3. გრიგორი მისიუტინი (ორივე-სსრკ) — 57,25.



უიმბლდონის ყველა ჩემპიონი

„სარბიელის“ წინა ნომერში უიმბლდონის ვაჟ ჩემპიონთა სია შემოგთავაზეთ. ამჯერად გაგაცნობთ ქალთა შორის გამარჯვებულებს.

1884-1885 — უოტსონი (დ.ბრიტანეთი)
1886 — ბინგლი (დ.ბრიტანეთი)
1887-1888 — დოდი (დ.ბრიტანეთი)
1889 — ბინგლი-ჰილარდი (დ.ბრიტანეთი)
1890 — რაისი (დ.ბრიტანეთი)
1891-1893 — დოდი (დ.ბრიტანეთი)
1894 — ბინგლი-ჰილარდი (დ.ბრიტანეთი)
1895-1896 — კუპერი (დ.ბრიტანეთი)
1897 — ბინგლი ჰილარდი (დ.ბრიტანეთი)
1898 — კუპერი (დ.ბრიტანეთი)
1899-1900 — ბინგლი-ჰილარდი (დ.ბრიტანეთი)
1901 — კუპერ-სტერი (დ.ბრიტანეთი)
1902 — რობი (დ.ბრიტანეთი)
1903-1904 — დუგლასი (დ.ბრიტანეთი)
1905 — სუტონი (აშშ)
1906 — დუგლასი (დ.ბრიტანეთი)
1907 — სუტონი (აშშ)
1908 — კუპერ-სტერი (დ.ბრიტანეთი)
1909 — ბუტბი (დ.ბრიტანეთი)
1910-1911 — ლამბერტ-ჩამბერსი (დ.ბრიტანეთი)
1912 — ლარკომბი (დ.ბრიტანეთი)
1913-1914 — ლამბერტ—ჩამბერსი (დ.ბრიტანეთი)
1915-1918 — არ გათამაშდა.
1919—1923 — ლენგლენი (საფრანგეთი)
1924 — მაკკეინი (დ.ბრიტანეთი)
1925 — ლენგლენი (საფრანგეთი)
1926 — მაკკეინ—გოდფრი (დ.ბრიტანეთი)
1927-1929 — უილსი (აშშ)
1930 — უილს-მუდი (აშშ)
1931 — აუსემი (გერმანია)
1932-1933 — უილს-მუდი (აშშ)
1934 — რაუნდი (დ.ბრიტანეთი)
1935 — უილს-მუდი (აშშ)
1936 — ჯეკობსი (აშშ)
1937 — რაუნდი (დ.ბრიტანეთი)
1938 — უილს-მუდი (აშშ)
1939 — მარბლი (აშშ)
1940-1945 არ გათამაშდა
1946 —ბეცი (აშშ)
1947 — ოსბორნი (აშშ)
1948-1950 — ბრაფი (აშშ)
1951 — ჰარტი (აშშ)
1952-1954 — კინოლი (აშშ)
1955 — ბრაფი (აშშ)
1956 — ფრაი (აშშ)
1957—1958 —გიბსონი (აშშ)
1959-1960 — ბუენო (ბრაზილია)
1961 — მორტიმერი (დ.ბრიტანეთი)
1962 — ჰანტცე-სასმენი (აშშ)
1963 — სმიტი (ავსტრალია)
1964 — ბუენო (ბრაზილია)
1965 — სმიტი (ავსტრალია)
1966-1968 — კინგი (აშშ)
1969 — ჯონსი (დ.ბრიტანეთი)
1970 — სმიტ-კორტი (ავსტრალია)
1971 — ჟულაგონგი (ავსტრალია)
1972-1973 — კინგი (აშშ)
1974 — ევერტი (აშშ)
1975 — კინგი (აშშ)
1976 — ევერტი (აშშ)
1977 — უეიდი (დ.ბრიტანეთი)
1978-1979 — ნავრატილოვა (აშშ)
1980 — კოული—ჟულაგონგი (ავსტრალია)
1981 — ევერტ—ლოიდი (აშშ)
1982-1987 — ნავრატილოვა (აშშ)
1988-1989 — გრაფი (გფრ)
1990 — ნავრატილოვა (აშშ)

მდიდარს ემატოსო...

მსოფლიო ჩემპიონატი წრიულ ავტორბოლაში „ფორმულას“ კლასის მანქანებით, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი სპორტული ღონისძიებაა იმ ფულის მიხედვით, რაც ამ შეჯიბრებაზე ტრიალებს. მისი ყოველწლიური ბიუჯეტი 800 მილიონ დოლარს შეადგენს. წლეულს, ამ მართლაც დიდ ასპარეზობაში, რომელშიც ასე კარგად ერწყმის ერთმანეთს ტექნოლოგიური პროგრესი, ბიზნესი და სანახაობრივი მიმზიდველობა, თვრამეტი გუნდი მონაწილეობს.

„ჩვენი ყოველწლიური ბიუჯეტი ფუნქციონირებისთვის 80 მილიონი დოლარია, — ამბობს „ულიამსის“ პატრონი ფრენკ უილიამსი, — გარდა ამისა ძრავებს არ ვყიდულობთ — უფასოდ გვაწვდის ფირმა „რენო“. ამიტომ ჩვენი მრბოლების შენახვა არც ისე ძვირი გვიჯდება...“ მართლაც, „მაკლარენის“, „ფერარის“ და სხვა მსგავსი გუნდების ბიუჯეტი ბევრად აჭარბებს 100 მილიონ დოლარს. მაგალითად, „მაკლარენის“ ბიუჯეტი, რომელიც ასევე არაფერს იხდის ძრავებში (მას ფირმა „ჰონდა“ ამარაგებს) და ბორბლების საბურავებში („გუდიარი“) 120 მილიონი დოლარია, ხოლო იტალიის ფირმა „ფერარისა“, რომელიც თვითონ ამზადებს ძრავებს თავისი მანქანებისთვის — კიდევ მეტი.

ავტოსპორტის ოთხი ბურჯის — „მაკლარენის“, ფერარის“, „უილიამსისა“ და „ბენეტონის“ ულტრათანამედროვე ქარხნებში მთელი წლის განმავლობაში ასზე მეტი ადამიანი მუშაობს. ინჟინრები ცდილობენ ავტოსპორტში დანერგონ აერონავტიკის ყველა ტექნიკური სიახლე და მისი ძვირფასი თანამედროვე მასალები.

გამარჯვება დიდად არის დამოკიდებული ფინანსურ მდგომარეობაზე. ძრავა 100 ათასი დოლარი ღირს, ერთი საბურავი — 500 დოლარი. „გრან პრის“ რბოლების მონაწილე თითოეულ მანქანას ოთხმოცამდე საბურავი სჭირდება. „გუდიარი“ უფასოდ აწვდის საბურავებს „მაკლარენს“, „ფერარის“, „ულიამსს“, „პირელი“ — „ბენეტონს“, დანარჩენები კი ფულს იხდიან.

„საშუალო“ გუნდების („ტირელი“, „ლიჟიე“...) წლიური ბიუჯეტი 30 მილიონ დოლარს აღწევს. გარდა „ტირელისა“, რომელსაც „მაკლარენის“ წყალობით შეუძლია უფასოდ გამოიყენოს შარშანდელი ნიმუშის „V10 ჰონდა“, ყველა ამ გუნდმა ძრავები უნდა იყიდოს. მაგალითად, „ლიჟიემ“ ამ სეზონში „ლამბორგინისთან“ დადო კონტრაქტი, რომლის ღირებულებაც 8 მილიონია.

რაც შეეხება უფრო ღარიბ გუნდებს, როგორიც არის, მაგალითად, „კოლონი“, ისინი წლიურად 12 მილიონ დოლარს უნდა დასჯერდნენ. ამ ფულით ფრთებს მაინცდამაინც ვერ გაშლი. მათაც ისევ დარჩენიათ, რომ „ფორმულა 1“-ში მონაწილეობა იკმარონ, თან ხშირად იმის შესაძლებლობაც აქვთ, პარასკეობით ეგრეთწოდებულ საკვალიფიკაციო რბოლაში ხალხს თავიანთი ოსტატობა უჩვენონ.

ფული შემოდის უმთავრესად ავტოსპორტის დამფინანსებელი თამბაქოს ფირმების („მალბორო“, „ქამელი“, „ჟიტანი“) და „ფორმულა 1“-ით გატაცებული იაპონიის კომპანიებისგან. წლევანდელ სეზონში სპარსეთის ყურეში მიმდინარე კრიზისმა და ტოკიოს ბირჟაზე შექმნილმა ვითარებამ შეაფერხა იენების დენა რბოლის ტრასებზე. მაგრამ იაპონურმა ფირმებმა მაინც იყიდეს ზოგიერთი გუნდი: „მიდლბრიჯმა“ — „ბრებჰემი“, „ლეიტონ ჰაუსმა“ — „მარჩი“, „ფუტუორკმა“ — „ეროუზი“. ამ ფირმების გულუხვობა გუნდებს საშუალებას აძლევს უახლესიტექნიკა შეიძინონ. მაგალითად, „ფუტუორკმა“ იყიდა ძრავა „პორშე V12“.

„ფული, უმთავრესად, მრბოლებს ხმარდებათ. აირტონ სენასა და ალენ პროსტის წლიური „გასამრჯელო“ 30 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ თანხაში არ შედის რეკლამის სფეროში დადებული პერსონალური კონტრაქტები. სენა 20-დან 30 მილიონამდე დოლარს იღებს“, — თქვა შარშან თვით საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან-მარი ბალესტრმ.

შეჯიბრების ორგანიზატორმა ქვეყანამ, რომელსაც სურს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს უმასპინძლოს, 2 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს. „ფორმულა 1“-ის მწარმოებელთა ფედერაცია, რომელსაც სათავეში სახელგანთქმული ბერნი ეკლსტოუნი უდგას, იღებს ჩეკს და 800000 დოლარს გამოყოფს ფულადი პრიზებისთვის. ეს თანხა საკმაოდ რთული სქემით ნაწილდება: — 20% (160000 დოლარი) — საკვალიფიკაციო სერიებისთვის (16000 დოლარი თითოეულ მონაწილეს, რომელიც სტარტზე პოზიციას დაიკავებს, 3200 — XX ადგილისათვის); 45% (36000 დოლარი) — თვით რბოლის მონაწილეთათვის, რომლებიც პირველ ოცეულში მოხვდებიან კლასიფიკაციით ტრასის ერთ მეოთხედზე, ნახევარზე, სამ მეოთხედზე და ფინიშზე; 35% (280000 დოლარი) — „ფიქსირებული კომპენსაციისთვის“, რომელიც გუნდების მიერ ორ წინა ნახევარ სეზონში მოპოვებული ქულების შესაბამისად ნაწილდება.

ამგვარად, სპორტსმენი, რომელიც დიდ პრიზზე გამართულ ასპარეზობაში შეძლებს ჯერ სტარტზე პოზიციის მოპოვებას, შემდგომ კი დისტანციის თავიდან ბოლომდე გავლას, 100000 დოლარს ჩაიდებს ჯიბეში. მაგრამ, თუ „რიგით“ გუნდებში მრბოლები, მართლაც, ან მთლიანად იღებენ პრიზების თანხას, ან ნაწილობრივ მაინც, წამყვან გუნდებში ცოტა სხვაგვარი მდგომარეობაა. მაგალითად, სენასა და პროსტის პრიზები ხელახლა ნაწილდება უკვე თვით გუნდებში და მექანიკოსებიც „კანონიერ“ ჯილდოს იღებენ.

ერთი სიტყვით, რაც უფრო ძლიერია გუნდი, მით უფრო მეტს „შოულობს“ რბოლაში. ამას ემატება „ფიქსირებული კომპენსაცია“ და თანხა სატელევიზიო რეტრანსლაციის უფლებისათვის, რაც შედეგების შესაბამისად ნაწილდება. გარდა ამისა, საუკეთესო გუნდები (პირველი ათეული) შეღავათებით სარგებლობენ მსოფლიოს ქვეყნებში მოგზაურობისას „ფორმულა 1“-ს მთელი ჩემპიონატის მანძილზე, რომელიც 16 ეტაპს მოიცავს. ამით გუნდს 2 მილიონამდე დოლარი ეზოგება.

ბორის მიხაილოვი,
საკდესის მიმომხილველი.
სპეციალურად „სარბიელისათვის“.



სენა კვლავ „მაკლარენის“ ერთგულია

მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა საავტომობილო კონცერნმა „მერსედესმა“ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს კვლავ დაუბრუნდეს „ფორმულა 1“ ასპარეზობას. ცნობილი გერმანული ფირმის ხელმძღვანელობა აპირებს თავისი გუნდი სარბიელზე გამოიყვანოს უკვე 1992 წლის სეზონში.

„მერსედესი“ უკვე მონაწილეობდა „ფორმულა 1“-ში 1954-55 წლებში, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი რბოლის დროს მისი სპორტსმენი დაიღუპა, მიატოვა ასპარეზობა. ახლა კონცერნის ხელმძღვანელობა ცდილობს შექმნას მაღალი კლასის გუნდი, რომელიც კონკურენციას გაუწევს მსოფლიოს საუკეთესო საავტომობილო ფირმებს. როგორც გერმანიის საინფორმაციო სააგენტო დპა იუწყება, „მერსედესმა“ ამ გუნდში გადასვლა შესთავაზა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონს, „ფორმულა 1“-ის წლევანდელი გათამაშების ლიდერს აირტონ სენას. მაგრამ ბრაზილიელი ამ წინადადებას ენთუზიაზმით არ შეხვედრია.

— მე კონტრაქტი მაქვს დადებული „მაკლარენთან“ და მინდა იგი პირნათლად შევასრულო. ამ კლუბისგან დიდად დავალებული ვარ. ჩემს განკარგულებაშია შესანიშნავი ტექნიკა, ვთანამშრომლობ ჩინებულ ხალხთან. ეს ხელს მიწყობს, რომ კარგად მოვემზადო ტურნირებისთვის და წარმატებასაც მივაღწიო. ასე რომ, „მაკლარენიდან“ წასვლას არ ვაპირებ. ახალგაზრდა ვარ და ახალი წარმატებების იმედიც მაქვს. არ მინდა ყურადღება გამეფანტოს და ახალ-ახალ, დამატებით მოლაპარაკებებზე ვხარჯო დრო. იქნებ ისეთი დროც დადგეს, რომ „მერსედესში“ მოვინდომო გადასვლა, მაგრამ ეს, ვფიქრობ, მალე არ მოხდება, — თქვა აირტონ სენამ.

ალექსანდრე იმედაშვილი

ჰოლანდია

ქვეყნის ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლა ძირითადად ორ გუნდს — „ეინდჰოვენსა“ და „აიაქსს“ შორის მიმდინარეობდა. ჩემპიონატი ორივე კლუბმა ქულების ერთნაირი რაოდენობით დაამთავრა, მაგრამ „ეინდჰოვენს“ ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდა (+56). „აიაქსი“ მეტოქეს მხოლოდ ორი ბურთით ჩამორჩა (+54).

მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასზე „ეინდჰოვენი“ იასპარეზებს, უეფა-ს თასზე — „აიაქსი“, „გრონინგენი“ და „უტრეხტი“.

ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, რომელი გუნდი წარმოადგენს ჰოლანდიას თასების მფლობელთა თასზე, მიუხედავად იმისა, რომ როტერდამის „ფეიენორდმა“ თასის ფინალში დაამარცხა მეორე ლიგის „დენ ბოსხი“ (1:0). „დენ ბოსხმა“ გაასაჩივრა მატჩი, რომელიც, როგორც კლუბის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, მხოლოდ, 83 წუთს გრძელდებოდა. შესაძლოა, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ მატჩის გადათამაშება დაადგინოს.

პირველი ლიგა დატოვეს „ჰეერენვეენმა“ და ნეკ-მა, ხოლო მე-16 ადგილზე გასულმა სვვ „სხიდამმა“ გადასასვლელ შეხვედრებში აჯობა მეორე ლიგაში მესამე ადგილზე გასულ ნაკ-ს (4:1, 1:1) და პირველ ლიგაში დარჩა. მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სვვ „სხიდამი“ მეორე ლიგის „დორდრეხტ 90“-თან გაერთიანდა. მომავალი სეზონიდან ახალი გუნდი, რომელსაც სვვ „დორდრეხტ 90“ დაერქვა, პირველ ლიგაში იასპარეზებს, ხოლო კალენდრით საკუთარ მოედანზე ჩასატარებელ მატჩებს ქალაქ დორდრეხტში გამართავს.

ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ დენი ბერხკამპი („აიაქსი“) და ბრაზილიელი ფეხბურთელი რომარიო („ეინდჰოვენი“) — 25-25 გოლი.

1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი

ბსვ „ეინდჰოვენი“	34	23	7	4	84-28	53
„აიაქსი“	34	22	9	3	75-21	53
„გრონინგენი“	34	18	10	6	62-38	46
„უტრეხტი“	34	16	10	8	42-29	42
„ვიტესე“	34	11	15	8	39-32	37
„ტვენტე“	34	13	10	11	58-48	36
რკს	34	11	13	10	51-49	35
„ფეიენოორდი“	34	8	16	10	39-40	32
„ვოლენდამი“	34	10	12	12	37-45	32
„როდა“	34	12	7	15	40-38	31
„ვილემ II“	34	13	4	17	53-50	30
„ფორტუნა“	34	9	12	13	33-47	30
„სპარტა“	34	7	15	12	40-57	29
„დენ ჰაგი“	34	10	8	16	40-60	28
სვვ „მასტრიხტი“	34	9	9	16	38-56	27
სვვ „სხიდამი“	34	8	8	18	31-52	25
„ჰეერენვეენი“	34	9	6	19	41-63	24
ნეკ	34	6	11	17	27-62	23

საბერძნეთი

ათენის „პანათინაიკოსმა“ განვლილ სეზონში „დუბლს“ მიაღწია — ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასის მფლობელიც გახდა. „პანათინაიკოსი“ მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერობდა და ჩემპიონის წოდება პირველობის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე გაინაღდა.

„პანათინაიკოსი“ ჩემპიონთა თასზე იასპარეზებს, „ათინაიკოსი“, რომელიც თასის ფინალში „პანათინაიკოსთან“ დამარცხდა, თასების მფლობელთა თასზე, ხოლო უეფას-ს თასზე საბერძნეთი ორი გუნდით იქნება წარმოდგენილი: ათენის აეკ-ით და სალონიკის პაოკ-ით (მეორე ადგილზე გასულ „ოლიმპიაკოსს“ მაყურებელთა უწესრიგო საქციელისათვის უეფა-მ ერთი წლით აუკრძალა ევროპის საკლუბო ტურნირებზე გამოსვლა).

პირველი ლიგა დატოვეს „იონიკოსმა“, „ლევადიაკოსმა“ და „იანინამ“. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა „პანათინაიკოსის“ თავდამსხმელი დიმიტრიოს სარავაკოსი — 23 გოლი.

1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი

„პანათინაიკოსი“	34	23	8	3	77-22	54
„ოლიმპიაკოსი“	34	19	10	5	77-28	46
აეკ	34	18	6	10	59-35	42
პაოკ	34	16	9	9	56-39	38
„ათინაიკოსი“	34	16	5	13	40-33	37
„ირაკლისი“	34	14	9	11	39-36	37
ოფი	34	11	12	11	36-36	34
„დოქსა“	34	14	6	14	42-45	34
„არისი“	34	11	11	12	34-38	33
„პანიონიოსი“	34	9	12	13	38-54	30
„პოლონი“	34	10	10	14	41-61	30
„ლარისა“	34	10	9	15	38-46	29
„პანახაიკი“	34	9	10	15	36-47	28
„ქსანთი“	34	9	10	15	35-53	28
„პანსერაიკოსი“	34	9	10	15	30-43	28
„იონიკოსი“	34	9	9	16	37-50	27
„ლევადიაკოსი“	34	10	7	17	35-51	27
„იანინა“	34	8	9	17	24-57	25

შენიშვნა: პაოკ-ისა და „ოლიმპიაკოსის“ გულშემატკივრების მიერ გამოხვეული ინციდენტების გამო საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით პაოკ-ს გამოაკლდა 3 ქულა, ხოლო „ოლიმპიაკოსს“ — 2 ქულა.

სსრკ

კვირას გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის ფინალური მატჩი. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები ცსკა და „ტორპედო“. მატჩს 40 ათასამდე მაყურებელი დაესწრო.

თამაში საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა ტორპედოელმა ტიშკოვმა, მაგრამ კორნეევმა სწრაფად აღადგინა წონასწორობა. მეორე ტაიმში თავი ისევ ამ ფეხბურთელებმა გამოიჩინეს: მათ კიდევ თითო გოლი გაიტანეს. მატჩის ბედი ცსკა-ს თავდამსხმელმა სერგეევმა გადაწყვიტა, რომელმაც მე-80 წუთზე თავისი გუნდის მესამე გოლი გაიტანა — 3:2.

ცსკა-მ წლის შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი. სექტემბერში ცსკა თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ჩაებმება, ახლა კი დამაჯერებლად ლიდერობს სსრკ-ს ჩემპიონატშიც.

ცსკა	15	10	4	1	32-16	24
„სპარტაკი“	13	6	5	2	19-13	17
„შახტიორი“	15	3	11	1	17-14	17
„დნეპრი“	15	5	6	4	13-12	16
„არარატი“	15	6	3	6	14-15	15

ფეხბურთის რუქასთან

გერმანიის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბრემენის „ვერდერი“ და „კელნი“. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ტაიმში კი გუნდებმა თითო გოლი გაიტანეს: ბრემენელმა აილცმა და კელნელმა ბანახმა. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ (1:1) დამთავრდა. დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც „ვერდერმა“ გაიმარჯვა 4:3. ამრიგად, მომავალ სეზონში „ვერდერი“ თასების მფლობელთა თასზე იასპარეზებს. უეფა-ს თასზე გერმანია ექვსი გუნდით იქნება წარმოდგენილი. ესენია: „ბაიერნი“, „ჰამბურგი“, „შტუტგარტი“, „აინტრახტი“, და ყოფილი გდრ-ის ორი გუნდი — „როტვაისი“ და „ჰემი“.

პოლონეთის **თასი კატოვიცეს გკს-მ მოიპოვა. ფინალში გკს-მ ვარშავის „ლეგია“ დამარცხა (1:0).**

ესპანეთში, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, განახლდა თასის გათამაშება, რომელსაც 8 უძლიერესი გუნდი შემორჩა. მეოთხეფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბარსელონა“ — „სევილია“ 3:0 (პირველი მატჩი 4:0), „სპორტინგი“ (ხიხონი) — „ლოგრონიესი“ 3:0 (0:2), „მალიორკა“ — „ვალენსია“ 3:1 (0:1), „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ვალიადოლიდი“ 0:1 (2:0). ნახევარფინალში „ბარსელონამ“ შინ წააგო „ატლეტიკოსთან“ (0:2) და, თუმცა, საპასუხო მატჩში, მადრიდში გაიმარჯვა (3:2), ორი შეხვედრის ჯამში მაინც დამარცხდა. მეორე ნახევარფინალში „მალიორკამ“ ორჯერ მოუგო „სპორტინგს“ (1:0, 1:0) და კლუბის იმტორიაში პირველად გავიდა ესპანეთის თასის ფინალში, სადაც მადრიდის „ატლეტიკოს“ შეხვდება.

„კადისმა“ და „სარაგოსამ“ შეინარჩუნეს თავიანთი ადგილები პირველ ლიგაში. გადასასვლელ მატჩებში მათ მოუგეს მეორე ლიგის გუნდებს. „სარაგოსამ“ „მურსია“ დაამარცხა (5:2, 0:0), ხოლო „კადისმა“ პენალტებით მოუგო „მალაგას“ (პირველ მატჩში „კადისი“ დამარცხდა 0:1, მეორეში კი ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა).

იუგოსლავიის ნაკრებისა და „ცრვენა ზვეზდას“ ფეხბურთელმა რობერტ პროსინეჩკიმ ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა მადრიდის „რეალთან“. ამით 22 წლის პროსინეჩკიმ დაარღვია იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემოღებული კანონი, რომლის მიხედვითაც, უცხოეთის გუნდში გადასვლა მხოლოდ 25 წელს მიღწეულ ფეხბურთელს შეუძლია.

მადრიდის „ატლეტიკომ“ შეიძინა „ბარსელონის“ მცველი სოლერი და მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი ლოსადა. როგორც ესპანეთის პრესა იუწყება „ბარსელონის“ მწვრთნელს კრუიფს გადაწყვეტილი აქვს გუნდში მექსიკელი უგო სანჩესის მიწვევა.

შოტლანდიის „სელტიკს“ სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ირლანდიელი ლიამ ბრეიდი. ამ პოსტზე მან ბილი მაკნილი შეცვალა. აღსანიშნავია, რომ ბრეიდის მწვრთნელობის არავითარი გამოცდილება არა აქვს.

ედინბურგის „ჰიბერნიანმა“ გლაზგოს „რეინჯერსს“ მილიონ გირვანქა სტერლინგად მიყიდა შოტლანდიის ნაკრების მეკარე ენდი გორამი.

ინგლისის თასის მფლობელი, „ტოტენჰემ ჰოთსპური“ გუნდის მწვრთნელმა ტერი ვენებლზმა და კომპიუტერების მაგნატმა ალან შუგარმა იყიდეს. ვენებლზმა კლუბის აქციების 35% შეიძინა, რაც 12 მილიონი დოლარი დაუჯდა. აქციების დანარჩენი ნაწილი შუგარმა იყიდა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანს ბრაიან რობსონს ექიმებმა თიაქარის ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების აზრით რობსონი მწყობრში მხოლოდ ოქტომბრისათვის ჩადგება.

წარსულში ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი ტრევორ ფრენსისი „შეფილდ უენზდეის“ მწვრთნელად დაინიშნა. ფრენსისმა განაცხადა, რომ შესაძლოა მოედანზეც გამოვიდეს და მოთამაშე მწვრთნელის ფუნქციები იკისროს.

მუშიდობით, ბრუნო!



ბრუნო კონტი

ბრუნი კონტიმ გოლი გაიტანა და 80000 მაყურებელმა რომის ოლიმპიურ სტადიონზე ოვაციები მოუწყო მას. თავად ფეხბურთელი კი ატირდა. ასეთი გულისამაჩუყებელი სცენა მოხდა „სკუადრა აძურასა“ და კლუბ „რომას“ თავდამსხმელის გამოსათხოვარ მატჩში, რომელშიც მონაწილეობდნენ რომაული გუნდის ახლანდელი და წინა წლების ვარსკვლავები. თავისი სპორტული კარიერა ბრუნომ „რომაში“ დაიწყო 1973 წელს. ეს ნიჭიერი ფეხბურთელი „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1982 წელს, ორი წლის შემდეგ კი „რომასთან“ ერთად ეროვნულ ჩემპიონატშიც გაიმარჯვა.

„რომას“ წინააღმდეგ თამაშობდა „ლათინური ამერიკის ნაკრები“, რომელიც შედგენილი იყო უმაღლესი ლიგის იტალიური კლუბების ფეხბურთელებისგან. 36 წლის კონტიმ თერთმეტმეტრიანით გახსნა ანგარიში მატჩში, რომელიც მისმა გუნდმა მოიგო 4:3. საინტერესოა, რომ კონტის გვერდიგვერდ თამაშობდა „რომას“ ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად კი ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი რობერტო ფალკაო.

ბიზნესმენის
საკაგიდო წიგნი
„ბირჟა და ბროკერი“

ქართულ ენაზე პირველად გამოდის მეთოდური მასალების კრებული ბირჟისა და საბროკერო სამსახურების, ორგანიზაციათა თანამშრომლებისა და ფირმებისათვის, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზართან, სავალუტო ოპერაციების ჩატარებასთან.

როგორ შევქმნათ სააქციონერო საზოგადოება?

რა შეადგენს საბირჟო ინვესტიციის საფუძველს?

რა როლს ასრულებენ შუამავლები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე?

რა საფუძველი აქვს საერთაშორისო სავალუტო ოპერაციებს?

წიგნი, „ბირჟა და ბროკერი“ ამომწურავად პასუხობს ამ და სხვა კითხვებზე, რომლებიც დღეს აღელვებს საქმიან ადამიანებს.

წიგნი 15 თავისაგან შედგება. დართული აქვს მცირე ტერმინოლოგიური ლექსიკონი. გამოცემა „ბირჟა და ბროკერი“ ვრცელდება მხოლოდ ხელმოწერით.

ფასი 300 მანეთია.

ვისაც სურს დაეუფლოს ამ იშვიათ წიგნს, ხელმოწერის გასაფორმებლად უნდა მიმართოს „კავკასიის ბირჟის“ საინფორმაციო სამსახურს მისამართით: ვაჟა ფშაველას გამზ. 72.

საკონტაქტო ტელეფონი 38-46-90

საინფორმაციო საზოგადოება
„კავკასიის ბირჟა“
სარეკლამო სააგენტო
„მი-მი-ნო“

ეს ფოტოსურათი მძლეოსნობის მოყვარულებს ალბათ გაახსენებს სეულში სიმაღლეზე მხტომელ ქალთა ოლიმპიური შეჯიბრების დაძაბულ, პირდაპირ დრამატულ პერიპეტიებს. თვით ამ თითქოსდა სტატიკურ ფოტოზეც კი საოცარი სიზუსტით არის აღბეჭდილი უკვე გარდახდილი სპორტული ბრძოლის კვალი. მარჯვნივ, წინა პლანზე, თქვენ ხედავთ ბულგარელ სტეფკა კოსტადინოვას — ამ ოლიმპიადის ფავორიტს, მსოფლიო რეკორდსმენს. სეულში უიღბლო ფავორიტი მესამე ადგილზე დარჩა და მისი სახეც სურათზე სრულ იმედგაცრუებას გამოხატავს. სამაგიეროდ, სიხარულს ვერ ფარავს ამერიკელი ლუიზა რიტერი (მარჯვნივ, უკანა პლანზე), რომელსაც საკუთარმა ბედმა და შეუპოვრობამ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული არგუნა. მარცხნივ დგას ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ტამარა ბიკოვა. საბჭოთა სპორტსმენს უთუოდ გამარჯვებაც ეწადა, მაგრამ, წინასწარი ობიექტური შეფასებით, ის ოქროს მედალი მისთვის კი არა, კოსტადინოვასთვის იყო „მოჭრილი". ბიკოვამ, როგორც გითხარით, „თავისი" მეორე ადგილი დაიკავა და მის სახეზეც ხალისიანი სიმშვიდეა აღბეჭდილი (წინა პლანზე — დაჯილდოების ცერემონიის მონანილე სამხრეთკორეელი გოგონა).

საჭიროა პენალტების „ლატარია"?

ფინალური მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასა" და საფრანგეთის „მარსელს" შორის მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორთა სერიოზული შეშფოთების მიზეზი გახდა. საორგანიზაციო კომიტეტის უმრავლესობის აზრით, თუ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი იმავე სცენარით წარიმართა, როგორც ჩემპიონთა თასის ფინალი, მომავალი ჩემპიონატის „ჩავარდნა" გარდუვალია.

ორგკომიტეტმა მხარი დაუჭირა მატჩის შემდგომი თერთმეტმეტრიანების გაუქმების იდეას. მათი აზრით გამარჯვებული უნდა გაირკვეს არა „საფეხბურთო ლატარიით", არამედ განმეორებითი მატჩის გამართვით.

თავისი რადიკალური გადაწყვეტილება 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ფიფა-ს შტაბ-ბინას გაუგზავნა ციურიხში. ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ანდრეას ჰერენმა თავის კომენტარში აღნიშნა, რომ ფიფა ამ წინადადებას ყველაზე ოპტიმალურად მიიჩნევს და იგი გახდა სპეციალური კომისიის მსჯელობის საგანი.



— „ცრვენა ზვეზდა" მთელი მატჩის განმავლობაში თავს იცავდა და საქმე მატჩის შემდგომ პენალტებამდე მიიყვანა. მათ მოიგეს პრესტიჟული თასი იმისდა მიუხედავად, რომ საკმაოდ მოსაწყენი და უინტერესო ფეხბურთი აჩვენეს. არასასურველი, რომ ასეთივე იმედგაცრუებული დარჩეს მაყურებელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგაც. აშშ-ის ორგკომიტეტის წინადადება სწორედ ამ მიზანს ისახავს — თქვა ანდრეას ხერენმა.

გერმანელთა სურვილი

გერმანიის ჭადრაკის ფედერაციას განზრახული აქვს უმასპინძლოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს, რომელშიც გარი კასპაროვმა ჩემპიონის ტიტული უნდა დაიცვას. მას ასევე სურს 1993 წლის ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა. დპა-ს სააგენტოს ცნობით ორივე შეჯიბრება, თუ ფიდე-მ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო, ბერლინში გაიმართება. გერმანიის ჭადრაკის ფედერაციამ ბერლინის კანდიდატურა წამოაყენა ზაარბრუკენში, პირველ კონგრესზე, მას მერე, რაც გფრ-ს და გდრ-ს ჭადრაკის ფედერაციები გაერთიანდა.

გამარჯვება დოლარებზე ძვირფასია

იმ მოკრივეთაგან, რომელთა ყოველი გამოჩენა რინგზე მოვლენად ითვლება, ერთ-ერთი პირველი ამერიკელი მაიკ ტაისონია, მან გასულ წელს დაკარგა მსოფლიოს პირველი ხელთათმანის საპატიო წოდება და დაიფიცა: ამ ტიტულს დავიბრუნებო. ამის შემდეგ კრივის მოყვარულები მის არც ერთ შეხვედრას არ აცდენდნენ.

მართლაც, 1990 წლის 11 თებერვალს ტოკიოში ჯეიმს „ბესტერ" დუგლასთან დამარცხების შემდეგ, ტაისონმა სამი შეხვედრა გამართა, ჰენრი ტილანისა და ალეგს სტიუარტის დასამარცხებლად, საერთო ჯამში, სულ... ერთი რაუნდი დასჭირდა. 18 მარტს კი დონვან როდოკს შეხვდა ლას-ვეგასო ფეშენებლური სასტუმრო „მირაჟის" დარბაზში. ტაისონმა გაიმარჯვა, თუმცა ამ გამარჯვებას სკანდალიც მოჰყვა. საქმე ისაა, რომ რეფერიმ მეშვიდე რაუნდის ბოლოს ტაისონის აშკარა უპირატესობის გამო შეხვედრა შეწყვიტა. ამ გადაწყვეტილებამ როდოკის მწვრთნელთა და წარმომადგენელთა პროტესტი გამოიწვია, ისინი ახლა მატჩ-რევანშს ითხოვენ.

მაიკ ტაისონმა გამოწვევა მიიღო. იგი ამ შეხვედრას ამაღამ ჩაატარებს, თანაც ისევ „მირაჟის" დარბაზში. იმის შესახებ, თუ როგორ მზადებოდა ტაისონი მატჩ-რევანშისათვის, „სარბიელის" წინა ნომერში მოგითხრეთ. ამიტომ ნათქვამს ისღა დაგვრჩენია დავუმატოთ, რომ ტაისონისათვის ამ შეხვედრაში გამარჯვებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ვიდრე მრავალ მილიონიან ჰონორარს. მას მხოლოდ გამარჯვება მისცემს შესაძლებლობას შეხვდეს ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონს ევანდერ ჰოლიფილდს.

„დედოფლის" ზამთრის მეჯლისი გენუაში

ევროპის 1992 წლის ზამთრის ჩემპიონატი მძლეოსნობაში გაიმართება სახელგანთქმული კოლუმბის სამშობლოში — იტალიის საპორტო ქალაქ გენუაში. ეს პრესტიჟული ტურნირი ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს დაიკავებს იმ გრანდიოზული ზეიმის პროგრამაში, რომელიც მიეძღვნება „კოლუმბის წელს". თვით ჩემპიონატი კი გაიმართება ადგილობრივ სპორტის სასახლეში 28 თებერვლიდან 1 მარტამდე.

რაც შეეხება სპორტსმენებს, ისინი იცხოვრებენ ორ სამგზავრო ლაინერზე, რადგან გენუაში განიცდიან სასტუმროების ნაკლებობას.

ნუ შეაფურთხებთ... არბიტრს

საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატი მის ორგანიზატორებს კარგა ძვირი დაუჯდათ. საკმარისია ითქვას, რომ ტურნირის საერთო სპრიზო ფონდმა 6,6 მილიონი აშშ-ს დოლარი შეადგინა. ვაჟთა ერთეულების თანრიგში გამარჯვებულმა, ამერიკელმა ჯიმ კურიკამ 451660 დოლარის ჩეკი მიიღო, ქალთა შორის პირველ ადგილზე გასულმა, იუგოსლავიელმა მონიკა სელეშმა — 378500 დოლარისა. დიდი ფულადი პრიზები ხვდათ სხვა ლაურეატებსაც.

მაგრამ ორგანიზაციონერთა ხაზინაში, გარდა რეკლამითა და ტელეტრანსლაციით მიღებული შემოსავლისა, ასე ვთქვათ, გეგმის გარეშე თანხაც აღმოჩნდა.

პირველი იძულებითი გადასახადი შეიტანა იუგოსლავიელმა ჩოგბურთელმა, ცხრამეტი წლის გორან ივანიშევიჩმა, რომელმაც პირველსავე შეხვედრაში ემოციები ვერ მოთოკა და სპორტული ეტიკეტი დაარღვია. ფრანგ ფედერიკ ფინტანთან მატჩში, რომელიც მისი გამარჯვებით დამთავრდა, ახალგაზრდა ჩოგბურთელმა თავი ვერ შეიკავა და... გვერდითი მსაჯისკენ გადააფურთხა. ამ საქციელისათვის ივანიშევიჩი 1000 დოლარით დაჯარიმდა.

უფრო მკაცრად დაისაჯა შვეიცარიელი მარკ როსეტი. პირველ წრეში ამერიკელ ანდრე აგასისთან დამარცხების შემდეგ მან ერთდროულად 9000 დოლარი გადაიხადა: 4000 იმისათვის, რომ მისი მაისურის სარეკლამო წარწერა ზომით

აღემატებოდა დასაშვებ ნორმებს, 5000 დოლარი კი — მსაჯების შეურაცხყოფისთვის.

გიორგი ქორქია

აქეთური, იქითური...

დიდი ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის შვილიშვილი მარგო ჰემინგუეი ბოლო დრომდე ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ფოტომოდელად ითვლებოდა თავის ქვეყანაში და [illegible] საც ამ პროფესიის სხვა წარმომადგენლებზე მეტს იღებდა. მიუხედავად ამისა, ოცდათხუთმეტი წლის მარგომ მოულოდნელად გადაწყვიტა სამოქმედო ასპარეზი შეეცვალა და სპორტული ტელეკომენტატორი გახდა. იგი უძღვება რეპორტაჟებს ამერიკული ფეხბურთის ოსტატთა მატჩებიდან. როგორც ამბობენ, მარგო ახლა ბევრად მეტ ფულს იღებს, ვიდრე მაშინ, როცა მსოფლიოს წინაშე თავისი სილამაზისა და მომხიბვლელობის დემონსტრირებას ახდენდა.

■ ■ ■

ეტყობა, ჩრდილოურმა სიცივეებმა თვით ჩრდილოეთის ქვეყნების წარმომადგენლებიც შეაშინა. უკანასკნელ ხანს სამხრეთისაკენ განსაკუთრებით იღტვიან სკანდინავიელები. ჯერ შვედებმა, მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავებმა ბიერნ ბორგმა და მათს ვილანდერმა გამოიცვალეს ადგილსამყოფელი და მონაკოს მოჭალაქეობა მიიღეს. ახლა მათს მაგალითს მიჰბაძა სახელგანთქმულმა სამთომოთხილამურემ ინგემარ სტენმარკმა.

■ ■ ■

ერაყის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ალი ტურკიმ ქვეყნის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის სახელით პეტიციით მიმართა აზიის ოლიმპიურ საბჭოს და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას. პეტიციაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ერაყის მხარის აზრით, „ერაყის მიმართ სპორტული ბოიკოტის მიზეზები აღარ არსებობს და დადგა დრო, ამ ქვეყნის ათლეტებს კვლავ მიეცეს უფლება შეუერთდნენ მსოფლიო სპორტულ მოძრაობას". ჭერჭერობით ამ მიმართვას არავითარი პასუხი არ მოჰყოლია.

■ ■ ■

საფრანგეთი შეიძლება გახდეს პირველი ქვეყანა, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ეწვევა მას შემდეგ, რაც იგი საერთაშორისო სპორტულ სარბიელს დაუბრუნდება. სწორედ ამ პერიოდისთვის დაგეგმეს თავიანთი ტურნე სარ-ში ფრანგმა მორაგბეებმა. ამ ქვეყნის რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელის ალბერ ფერარის აზრით, სარის პრეზიდენტის ფრედერიკ დე კლერკის დამირება — გაუქმოს აპარტიდის საკანონო კანონები ნიშნავს იმას, რომ შეწყდება მორატორიუმი სპორტულ კონტაქტებზე. „ეს იქნება იდეალური ტურნე და დაგეგეგმარება ნარების მომზადებაში მსოფლიოს თასის 1991 წლის გათამაშებისთვის. ამის გამო ჩვენ უარი ვთქვით აშშ-ში გამგზავრებაზე" — თქვა ალბერ ფერარიმ.

■ ■ ■

მინსკის არმიელ ხელბურთელთა გუნდის ყოფილი წევრი ალექსანდრე ტუჩკინი გერმანელ სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შემდეგ დასახელეს 1990-91 წლების სეზონის მეორე ნომერ ხელბურთელად– გერმანიაში. ტუჩკინი ამჟამად ქალაქ ესენის კლუბ „ტუსემში" თამაშობს და, ეტყობა, საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობს.

■ ■ ■

ამერიკული ჩოგბურთის ვარსკვლავი ჯონ მაკენროი „სამგზის" მამა გახდა. მეუღლეს, წარსულში ცნობილ კინოვარსკვლავს ტატუშ ოანილს ქალიშვილი შეეძინა. გოგონას ემილია-კარტინი დაარქვეს.

■ ■ ■

ჩილის დედაქალაქში შვიდი ადამიანი დაიღუპა ადგილობრივი კლუბის „კოლოკოლო"-ს გამარჯვების აღსანიშნავად გამართული ზეიმის დროს. ამ გუნდმა ორი მატჩის ჯამში დაამარცხა პარაგვაის „ოლიმპია" და „დამოუკიდებლობის თასი" მოიპოვა. პოლიციის ცნობით, ექვსი ადამიანი მანქანებმა იმსხვერპლეს, მეშვიდე კი ჩხუბის დროს დაიღუპა.

აქეთური, იქითური...

„სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ფრანსკავშირი"

გამოდის პარასკევობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი: თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30. გაზეთ „სარბიელის" რედაქცია. ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.

სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.

კომერციული დირექტორი შოთა ჯულუხაძე.